[illegible] სოციალ-დემოკრატიულ [illegible] პარტიის [illegible] № 222 კვირა, აპრილის 15 (28) 1918 წ. № 222

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

სეიმის სხდომაზე პირველმა მინისტრმა მთავრობის დეკლარაცია გამოაქვეყნა.—სეიმის ყველა ფრაქციამ და წევრმა დაუჭირა მხარი მთავრობის დეკლარაციას გარდა ორი სოც.-რევოლიუციონერისა.—ოსმალეთმა აღიარა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.—სადგური ბალაჯარა და გზა ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს.—ყარსთან ბრძოლაში ოსმალოებმა 860 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში.—გერმანელების საჰაერო ესკადრამ პარიზს ყუმბარები დაუშინა

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] ღირს 50 კაპ., [illegible]—80 კაპ. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. [illegible] სამგლოვიარო განცხადების ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" ([illegible]) ბარათნის ქუჩა, სახლი № 14 ღირს ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ [illegible].

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 160.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გულდათუთქულნი და გაუბედურებულნი ვარდენ გიორგის ძე ყიფიანი (ღვანკითელი), ელისაბედ ქაიხოსროს ასული ყიფიანისა და თამარ დიმიტრი წერეთლის ასული ყიფიანისა აუწყებენ [illegible] მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს პირველი უძვირფასესის [illegible] საყვარელი მეუღლის და მესამე უძვირფასესის [illegible]

კარპაოზ გიორგის ძე ყიფიანის

ვერაგულად მოკვლას სოფელ ღვანკითში. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 433-2

დამწუხარებული მშობლები გრიგოლ და ბარბარე, ძმები პეტრე და გიორგი და მარიამი აუწყებენ მოკეთეთა და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი საყვარელი შვილი, ხოლო მეორეთა და ძმა

სოფიო მამრაძე

გამოსვენება დღეს, 15 აპრილს, დილის 9 საათზე, (ვერის დაღმართი, 5), ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 430

გულდამწვარნი და თავზარდაცემულნი დედა ელენე ვანიძისა ქარცივაძის ასული, ლეონიდე და ძმა მიხაკო, ბიძა დიმიტრი, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილი ვასილ, სანდრო, მარიამ, ემილე და ანეტა ვანიძეები, სიძეები თედორე ცხომელიძე, დათა გოგიბერიძე და ალექსანდრე ლოლიძე, დეიდა ბაბილინე აბაშიძისა ქარცივაძის ასული, დეიდაშვილები ვასილ და ქეთო აბაშიძე, თინათინ, ზაქარია და თამარ [illegible], დისწულები [illegible] და გრიშა [illegible] ლაში გმირულად დაღუპვა პრაპორშჩიკ

დათიკო ალექსანდრეს ძე ვანიძე

რომლის ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში კვირას, 15 აპრილს, დღის 2 საათზე. 440

მღვდელი ივანე ალექსის ძე და ნინო ლევანის ასული ციცქიშვილები და სიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს გადახდილი იქნება წლის წირვა-პანაშვიდი [illegible] მათი დაუვიწყარი შვილის

მატო (მარგალიტა) ციცქიშვილის

დასაწყისი დილის 9 საათზე, სოფ. [illegible]. 442

გულდაწყვეტილნი: რძალი ვერა, ბიძა სოფრონი, ბიძაშვილები: კოტე, ირაკლი, თამარ და ტარიელ ტარუაშვილები აუწყებენ საყვარელ და დაუვიწყარი ძმის

სოფიო (სონა) მამრაძის

გარდაცვალებას. გასვენება 9 საათზე ვერის დაღმართიდან, წირვა ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დღეს, 15 აპრილს. 1148

მეუღლე ელენე ჯიქიძისა შვილებით და ცოლის ძმები ანტონი და მიხეილი ძიძიგურები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ ანტონის ძე ჯიქიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დღეს, კვირას, 15 აპრილს, დარიის მონასტრის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 9 საათზე. 435

17 აპრილს იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიაში განსვენებულის

ქრისტეფორე ქრისტეფორის ძის ქსენოფონტოვისა

რასაც აუწყებს დამწუხრებული ქვრივი შვილებით, ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობართ. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 441

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., [illegible] ტელეფ. 19—00.

კაპიტალური სახაზინო შენობა [illegible]

დღეს 15 აპრილს გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა

დილით დაკლებულ ფასებში: დილით დაიწყება 1 საათზე. მონაწილეობენ: [illegible], [illegible], ჟაკი ვინჩენკო, დე-ლა-კაზო, ლანცეროსი და სხვ. მრავალი ახალი ნომერი. წაიკითხეთ აფიშები.

ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს, 1918 წ.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ვ. ა. აბაშიძის 40 წლის სასცენო-მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება ორი წარმოდგენა

დილით	საღამოთი
პეპო	**ნამუსისათვის**
კომედია 3 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.	პიესა 4 მოქ. შირვანზადესი.

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი. პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი. ◆ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

კვირას 29 აპრილს (ახ. სტ. 12 მაისს), დღის 12 საათზე,

ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1. 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ.
4. 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა.
5. [illegible] (§§ 17, 31).
6. სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამეურნეო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულნი (თანახმად წესდების მე 15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი წესიერად არჩეულნი არიან რწმუნებულებად. 1147

ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსის

განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კერძო ავტომობილების პატრონები, რომელნიც ტფილისიდან კავკავში დადიან და წინაუკმო, ვალდებული არიან ყოველთვის გამგზავრების წინ წაიღონ ტფილისის ფოსტიდან ტომარა წერილებით და გაზეთებით კავკავის ფოსტაში მისატანად.

ის ავტომობილები, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ განკარგულებას, არ იქმნებიან გაშვებულნი საქართველოს სამხედრო გზით. ასევე მოეპყრობიან კავკავიდან მომავალ ავტომობილებს.

ავტომობილისათვის გადასაცემი ტომარა ტფილისის საფოსტო სადგურის პირდაპირ იქნება, ოლღის ქუჩაზე.

თუ იმ ავტომობილების შემდეგ, რომელნიც კორესპონდენციას წაიღებენ, იმავე დღეს სხვა ავტომობილებით გაემგზავრებიან კავკავში, უკანასკნელებს დაუბრკოლებლივ გაუშვებენ.

ეს დადგენილება ძალაში უნდა იქმნას შეყვანილი 15 აპრილიდან.

მილიციის უფროსის მაგივრად პავლიევი. 1146

განცხადება

მიწადმოქმედების მინისტრის კანცელარია აცხადებს, რომ 18 მარტს, შუადღის 12 საათზე, [illegible] ფერმაში, რომელიც ხის ჯვარში იმყოფება, დანიშნულია კარგი ჯიშის ცხენების გაყიდვა, რომელიც ბორჯომის სახელ. ეროვნულ მამულს ეკუთვნის. ვაჭრობა დაიწყება იმ ფასიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული:

1. № 100—ვარია	450 მ.	11. № 162—ხერსო	300 მ.
2. № 9—ლასკა	400 „	12. № 15—ლაბდა	350 „
3. № 147—ფილმა	450 „	13. № 102—ლეჟენჩკა	300 „
4. № 114—სენტა	450 „	14. № 104—ლეონორა	350 „
5. № 123—აზრა	350 „	15. № 97—პანნერკა	400 „
6. № 95—[illegible]	300 „	16. № 86—ჩეჩენიაჩკა	300 „
7. № 16—კეტაიანკა	450 „	17. № 35—„ნევრასტენიკა"	450 „
8. № 44—ლან.	600 „	18. № 159—თამარ	350 „
9. № 118 ტიპორა	300 „	19. № 106—[illegible]	350 „
10. № 31—„რინჯენკა"	300 „	20. № 32—[illegible]	600 „

ამათ გარდა იყიდება 5 ხბო და ერთი მოზვერი (10 თვის—1 წლ.) დაფასებულია 200 მ. თითო. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს ნახევარი საფასური ვაჭრობის გათავებისას უნდა შემოიტანოს დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი ნახევარი 3 დღის შემდეგ. ნაყიდი საქონელი ვალდებულია წაიღოს 3 დღის განმავლობაში დღიდან ვაჭრობის წარმოებისა. თუ მყიდველი დაარღვევს ზემო აღნიშნულ პირობებს, ვაჭრობაც დარღვეულია და შეტანილი ფული ხაზინას გადაეცემა.

ვაჭრობას აწარმოებს ბორჯომის მამულის კომისიის თავმჯდომარე შ. ოსმელიანი. 1141

ქართული კლუბი

სამშაბათს, 17 აპრილს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

არშინ მალ-ალანი

აზიური ოპერეტა 4 მოქმედ. ჰაჯიბეკოვისა, თარგმ. ვ. გუნიაშვილისა. მოქმედნი პირნი: სულთან-ბეგი—ვასო აბაშიძე, გულჩორა—ტასო აბაშიძე, ასია—ან. კავთელი, თელი—გ. ურბნელი, ხალა—ელ. ჩერქეზიშვილი, ასკარა—ალ. იმედაშვილი, სულეიმანი—ნ. ჩაგუნავა, ვალი—ი. [illegible]. ორკესტრს დირიჟორობს ცნობილი მეორე ხიმონა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1149

ტფილისი, 15 აპრილი 1918 წ.

მთავრობის დეკლარაცია. აკაკი ჩხენკელის მთავრობამ დეკლარაციით მიმართა სეიმს. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნულია მთავარი მუხლები მთავრობის სამოქმედო პროგრამისა. ეს მუხლებია: განმტკიცება ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისა, ფედერალიზმის საფუძველზე, სრული თანასწორობა ამიერკავკასიის მცხოვრებლებისა, გადამიჯვნა ეროვნულ-ტერიტორიალური, სათანადო მთავრობა[illegible]სა, რომელიც ოთხი წელიწადია ძმათა ტყვრთად იდევს ამიერკავკასიის მცხოვრებლებს. ყველა ამისთვის კი უპირველესად ყოვლისა საჭიროა ამიერკავკასიის სახელმწიფო კონსტიტუციის შემუშავება და ჩხენკელის მთავრობასაც საჭიროდ მიაჩნია ეს კონსტიტუცია შემუშავებულ იქმნას სულ მოკლე ხანში.

კერძოდ საქართველოს დღეიდან საშუალება ეძლევა საფუძველი ჩაუყაროს შინაურ მართვა-გამგეობას. გაერთიანებული საქართველო, საუბედუროდ, ფრთებ შეკვეცილი ბოლშევიკური ზავის შემდეგ, უნდა დაადგეს შინაგან საალმშენებლო მუშაობას. ერთის მხრით საჭიროა განხილვა სახელმწიფოებრივი დაწესებულებებისა—ადმინისტრაციისა, სასამართლოსი, რკინის გზების მიმოსვლისა, მოწყობა სწავლა-განათლების საქმისა, ცხოვრებაში გატარება აგრარული კანონმდებლობისა,—მეორეს მხრით დაცვა საქართველოს საზღვრებისა და შინაგანი წეს-წყობილებისა ყოველივე ანარქიისაგან. დემოკრატიული წეს-წყობილება არა ნიშნავს იმას, რომ ყოველს სოფელში თავისი კანონმდებელი და თავისი მბრძანებელი იყოს. ეს ანარქისტული შეხედულება მთავრობასა და კანონმდებლობაზე ყოველთვის თან ახლავს ხოლმე ყოველნაირ რევოლიუციას, მაგრამ ორგანიზაციული ელემენტი რევოლიუციისა ყოველთვის სჯობნის ანარქისტულს და განსაზღვრული ვადის შემდეგ ხალხის ცხოვრება წესიერ კალაპოტში ვარდება. იწყება რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა მშვიდობიანი განადლების ხანა. აი სწორედ ეს მშვიდობიანი საალმშენებლო მუშაობაა დღეს საჭირო ჩვენი ხალხისათვის.

ბიუროკრატიულ-ჟანდარმული რუსეთის მთავრობის მიერ ერთის მხრით და ოთხის წლის ომით, მეორეს მხრით ისე საშინლად დაეცა ჩვენი ქვეყნის შრომის ნაყოფიერება, რომ მას კატასტროფული მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, თუ დროზე საალმშენებლო მუშაობას არ მოვკიდეთ ხელი.

ჩვენის საკუთარის ხელით დღეს ჩვენში თითქმის არაფერი არა კეთდება. სრულს უსაქმურობაშია ჩაზრჩვალი დღეს რუსეთიც. რაც დღემდის ფაბრიკა-ქარხნების მიერ იყო დამზადებული, უკვე გაიფლანგა, ახალი აღარაფერი იქმნება. ჩვენი ქვეყანა უფრო უარესს მდგომარეობაშია. საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება კი დიდი ენერგიის ამოძრავებას მოითხოვს. ყველა ამისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი მექანიზმი განმტკიცდეს, ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგეს და გზა გაეხსნას მშვიდობიან საალმშენებლო მუშაობას.

მთავრობის დეკლარაცია

მოქალაქენო, წევრნო ამიერკავკასიის სეიმისა!

ფრიად რთულ პირობებში ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისა მომანდეთ მე ახალი მთავრობის შედგენა, პასუხისმგებელი თქვენი უზენაესი კრებულის წინაშე.

მომეცით ნება ახლად შედგენილი კაბინეთის სახელით გადაგიშალოთ საერთო სურათი იმ პრინციპებისა და დებულებათა, რომელიც აერთებს ახალი მთავრობის ყველა წევრს და აღნიშნავს საერთო მიმართულებას ჩვენი მომავალი მოღვაწეობისა.

პირველი დებულება, რომელიც ჩვენი მუშაობის მთავარი სახელმძღვანელო იქნება, უკვე გამოაქვეყნეთ თქვენ 9 აპრილის თქვენს ისტორიულ სხდომაზე.

ეს არის სუვერენობა და დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

თქვენი გადაწყვეტილება მე უკვე ვაუწყე ყველა სახელმწიფოს მთავრობებს იმ ღამესვე, როდესაც თქვენ ის გამოიტანეთ.

მთავრობა ელის ახლა საერთაშორისო აღიარებას ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისას და დარწმუნებულია, რომ დასტურს მიიღებს, რადგან ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობა არა აგრესიული ზრახვებისათვის, არამედ ჩვენი თავისუფლების განმტკიცებისა და ამიერკავკასიის ერთა კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისათვის.

განმტკიცება მეგობრული და გულითად ურთიერთობისა საერთაშორისო კავშირის ყველა სახელმწიფოსთან, და კერძოდ იმათთან, ვისთანაც ამიერკავკასიის რესპუბლიკას საერთო საზღვრები აქვს—აი, იდეალი, რომელიც საზოგადო მიმართულებას აძლევს ჩვენს საგარეო პოლიტიკას.

რაც შეეხება ამიერიდან დამოუკიდებელ ამიერკავკასიის რესპუბლიკის ერებს—თქვენ წინაშე პასუხისმგებელი და რევოლიუციის შემწეობით შობილი მთავრობა პირველ ყოვლისა ვალდებულია იხელმძღვანელოს დემოკრატიზმის პრინციპებით და ამისკენ მიისწრაფოდეს, რომ ცხოვრებაში გატარებული ლოზუნგები თანასწორობისა და ძმობისა გახდეს კუთვნილებად ამიერკავკასიის ყველა ერისა ფაქტიურად.

თავისუფალ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობას გერები არ ეყოლება, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყველა თანასწორია, ყველა მოქალაქეა ერთნაირი უფლებებით და მოვალეობით აღჭურვილი.

ხოლო ისინი, ვინც თავის თავს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად სთვლიან, ან ათეული წლების განმავლობაში ამიერკავკასიაში სცხოვრობენ მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად, და ან ქამად ძველიდანვე ჩვენთან ცხოვრებას მოისურვებენ და ამასთანავე ერთად თავისი ძველი სამშობლოს შვილებად დარჩებიან — დიე, იცოდნენ მათ, რომ ისინი თავისუფალნი არიან ამორჩევაში, და როგორიც არ უნდა იყოს მათი გადაწყვეტილება, ის არ შელახავს მათ მოქალაქეობრივ უფლებას, არც მათ კეთილდღეობას, არც მათი ცხოვრების კალაპოტს შეცვლის.

კერძოდ ამიერკავკასიის მშრომელი რუსი მცხოვრებლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მთავრობა უზრუნველყოფს ამიერკავკასიის დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად თანასწორუფლებას შრომისა და თავისუფალ ეკონომიურ განვითარებისა.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ მთავრობის წინაშე უპირველესი მნიშვნელობის ამოცანები ისახება. პირველ ყოვლისა ეს არის ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი წყობილების ძირითადი მუხლების განმტკიცება ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწერილი კონსტიტუციის სახით.

ამ მუშაობას ჩვენ დაუყოვნებლივ შეუდგებით და აუცილებლად ცსთვლით ახლო მომავალში იქნეს შესრულებული.

მეორედ, მთავრობა ფიქრობს, რომ უმთავრესი პირობა ამიერკავკასიის ერთა თავისუფალ და უმტკივნეულო განვითარებისათვის დაცული არ იქნება თუ ეხლავე არ გაისვა დღის წესრიგში და რადიკალურად ერთხელდა სამუდამოდ არ იქმნა გადაჭრილი საკითხი ამიერკავკასიის ერთა ტერიტორიალურ გამიჯვნისა.

სხვანაირ ფორმულიროვკით ეს საკითხია სწორ საზღვრების დადებისა ამიერკავკასიის ფედერაციის თავისუფალ ერთა თვითეულ ერთეულებ შორის. მთავრობაც ფიქრობს, რომ ამ საკითხის გადაჭრა ერთმანეთში თანხმობის და დათმობის გზით საუკეთესო და ერთად ერთი საშუალება იქნება გაიხსნას ეროვნულ წინააღმდეგობათა კვანძი, დღეს რომ ჩვენთვის მტკივნეულ ადგილს წარმოადგენენ და ჩვენს საზღვროს, ეკონომიურსა და პოლიტიკურ ძლიერებას ასუსტებენ.

ამ მხრივ მთავრობა დიდ იმედს ამყარებს ამიერკავკასიის ერთა სამართლიანობის სალ გრძნობაზე და ფხიზელ გონიერებაზე. რა გინდ არ დაიდარის ჩვენი ცხოვრების ზედაპირი საერთაშორისო გაწვავება-შეტაკებით, ჩვენ მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ იქ, ხალხის სიღრმეში ცოცხალია ის ეროვნული გრძნობა, რომელიც თვით მტკიცდება და ამტკიცებს აგრეთვე სხვა ჩამომავლობის ხალხთა უფლებას იქონიოს ისეთივე ადგილი ჩვენი ამიერკავკასიის ცის ქვეშ.

მე გადავ ივარ მეორე საკითხზე, რომელიც აქ ნახსენებზე ნაკლები არ არის.

უკვე ოთხი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა ქვეყნის ხალხი სისხლით იწრიტებიან ამ შესაზარ საძმათა შორისო ომში.

ჩვენი შეურყეველი ნება სურვილია იმ ერთა, თავიანთ ბედი ჩვენ რომ გვანდეს, საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, თავი დავაღწიეთ ომის იმ ცეცხლოვან რგოლს, რომელზედაც ლაპარაკობდა თქვენი თავმჯდომარე ჩვენი მუშაობის პირველ დღეს.

მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს ამ მიზნის მიღწევისა და სამხედრო მოქმედებათა დაუყონებლივ ლიკვიდაციისათვის და წრფელი სურვილი ზავისა ქვაკუთხედად იდება ჩვენს მუშაობაში.

მაგრამ ზავისკენ მსრბოლი მთავრობა თვის ვალად სახავს ხაზგასმით აღნიშნოს საჭიროება სამხედრო საქმის ორგანიზაციისა. მხოლოდ მაშინ, როცა შეიარაღებულ ძალას შეეძლება დაიცვას ხელშეუხებლობა და დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის რესპუბლიკისა ყველასგან, საიდანაც კი, შინიდან თუ გარედან, მოაწვება მას განსაცდელი, მხოლოდ ამაში ხედავს მთავრობა თავის უპირველეს მოვალეობას, რომელიც გამომდინარეობს იმ გარდაწყვეტილების რეალიზაციიდან, თქვენ რომ 9 აპრილს ვალად დაგვადეთ ჩვენ.

სამხედრო საქმის დამარაგების საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია აგრეთვე საკითხი ძალა-უფლების ხასიათისა.

მთავრობა ერთსულოვნად აღიარებს, რომ სახელმწიფოებრივ ძალას აქვს სრული პასუხისმგებლობა ერის შედკეთილობაში წინაშე მის კანონიერ ამომრჩეველთა და ფიქრობს, რომ უამპასუხისმგებლოდ შეუძლებელია სწორი მოწყობა სახელმწიფოებრივ გამგეობისა.

ამისთვის მთავრობა ჰგონებს, რომ მთელი ძალა-უფლება უნდა შეკრებილ იყოს იმ ორგანოთა ხელში, რომელნიც ჰქმნიან ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ წყობილების საზიარო სისტემას.

მრავალმთავრობობა არ უნდა იყოს, რადგან რუსეთის რევოლიუციის პროცესმა გამოამჟღავნა, რომ მრავალმთავრობობა ნიშნავს უმთავრობობას.

ამასთანავე ერთად მთავრობას იმედი აქვს, რომ სარევოლიუციო და ეროვნული ორგანიზაციები ყოველნაირად ხელს მისცემენ რევოლიუციის დიად ლოზუნგების განხორციელებაში.

ორი მხრით მოელის საფრთხე ამ ლოზუნგების გამარჯვებას — კონტრ-რევოლიუციის და ანარქიის მხრივ.

ამ ორ საფრთხეს ჩვენ ვთვლით თანასწორ საფრთხედ. საკონტრ-რევოლიუციო გამოსვლანი ქვეყანად ანარქიას წარმოშობენ და წინაუკმო ანარქიიდან წარმოსდინდება ნამდვილი რეაქცია და დესპოტია უფრო სასტიკი, ვიდრე ჩვენ მიერ დამხობილი ცარიზმი.

ვსდგევართ რა დემოკრატიის ინტერესების სადარაჯოზე, ვიცავთ რა რევოლიუციის მონაპოვართ, ჩვენ ვუცხადებთ გაბედულ და ენერგიულ ბრძოლას როგორც კონტრ რევოლიუციას, აგრეთვე ანარქიას

ჩვენი დამოუკიდებელ რესპუბლიკის მიწა წყალზე მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

კონტრ-რევოლიუციასა და ანარქიასთან ბრძოლა და დემოკრატიულ რევოლიუციით მონაპოვარ უფლებათა დაცვა ჩვენთვის იგივეა, რაც ბრძოლა ჩვენი თავისუფლებისა და ჩვენი დამოუკიდებლობისათვის.

ასეთია საზოგადოდ წინა მდებარე ჩვენი მოღვაწეობის ძირითადი პრინციპები.

რა თქმა უნდა, ესენი საგნებით არ ამოსწურავენ იმ საკითხებს, რომელნიც ჩვენ ეხლა უნდა გადავჭრათ და რომელნიც აღიძვრებიან შემდეგ მუშაობის პროცესში.

თავის მომავალ მუშაობაში მთავრობა იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ მისი მუშაობა გაგრძელებაა სეიმის მიერ შედგენილ პირველ მთავრობისა, და ახალ სახელმწიფოებრივობის ფარგლებში, რომელიც შეიქმნა 9 აპრილს თქვენი გადაწყვეტილებით, მთავრობა განაგრძობს ალმაშენებლობით მუშაობას, რომელიც პირველმა კაბინეთმა დაიწყო საადგილ-მამულო რეფორმის გატარება ცხოვრებაში, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, დამოუკიდებელი საფინანსო სისტემის შექმნა, სასურსათო საქმის მოწესრიგება, მიმოსვლის განახლება, მთავრობის დაწესებულებათა შეფარდება ახალ წყობილებასთან და სხვა და სხვა — ყველაფერი ეს საგანი უმეჯოთესი მუშაობისა და მოღვაწეობისა, როგორც მთავრობისა მთლიანად ისე მის ცალკე დაწესებულებათა.

დასასრულ მთავრობა აცხადებს, რომ ახლოლოდ იმედი და რწმენა რომ ხალხის წარმომადგენლები, რომელნიც ამ უზენაეს კრებულს შეადგენს, აქტიურ დახმარებას და თანაგრძნობას გაუწევენ, აძლევს მას — დამოუკიდებელ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის პირველ მთავრობას — საჭირო ძალას და წონასწორობას მომავალ მოღვაწეობისთვის, რომელიც ზემო აღნიშნული გზით იქნება წარმოებული.

ანდღონსანი

(ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო).

ტფილისი. 14 აპრილი. ამიერკავკასიის სეიმის 10 აპრილის სხდომაზე დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოსი („ანდღონსანი"-სა), რომელიც ამიერკავკასიის მთავრობის უწყებაში იქნება და რომლის მიზანია რაც შეიძლება სრული ცნობები მიაწოდოს თანამდებობის პირებს, სახელმწიფოს მცხოვრებლებსა და ბეჭდვითი სიტყვით ორგანოებს ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებისა და განკარგულებების, კავკასიის, და საზღვარ-გარეთის ცხოვრების და ყველა ფრონტის სამხედრო ცნობების შესახებ, ანდღონსანის ბიულეტენებში ყველა რადიო-სადგურის ცნობები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება.

ანდღონსანის ბიულეტენები ყოველდღე დაეგზავნება უფასოდ ყველა გუბერნიის და მაზრის კომისარებს, მთავრობის წევრებს და ტფილისის ქალაქის თავს; ხოლო კერძო პირებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს სასყიდლით, რომელიც აბონენტებთან შეთანხმებით უნდა დაწესდეს: ანდღონსანის მისამართი: ტფილისი, ანდღონსანი (რუსულად „ზაკავტაგ").

სეიმის გარშემო

ტფილისი. 14 აპრილი. (ანდღონსანი) სეიმის 13 აპრილის საღამოს სხდომაზე წაკითხულ იქმნა სია ახალი მთავრობის წევრებისა მთავრობის დეკლარაციის შემდეგ (იხ. ჩვენი დღევანდელი გაზეთი) განცხადებებით გამოვიდნენ სეიმის ფრაქციების წარმომადგენლები, რომელთაც ენერგიული დახმარება აღუთქვეს მთავრობას მისი მიზნების მიღწევაში. დახმარებაზე უარი განაცხადეს მხოლოდ მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერებმა.

ფრაქციათა წარმომადგენლების განცხადებების შემდეგ მიღებულ იქნება მორიგ საქმეებზე გადასასვლელი ფორმულა, მენშევიკების მიერ წარდგენილი:

„სეიმმა მოისმინა — რა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი მთავრობის პირველი მინისტრის დეკლარაცია, აუცილებლად სცნო დეკლარაციაში აღნიშნული ზომების განხორციელება როგორც შინაურ ისე საგარეო პოლიტიკაში; სეიმი, აღუთქვამს რა მთავრობას სრულს დახმარებას, გადადის მორიგ საქმეებზე".

ფორმულა მიღებულ იქმნა დიდის უმრავლესობით: წინააღმდეგი იყო მხოლოდ ორი სოც.-რევოლიუციონერი.

სეიმმა დაადგინა 18 აპრილიდან შემოიღოს ამიერკავკასიის რესპუბლიკაში ახალი სტილი. ოთხშაბათს 18 აპრილის ნაცვლად 1 მაისი იქნება.

ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 14 აპრილი. 121.

ზღვის ნაპირების მიმართულებით არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩამოგდებული მშვიდობიანობა დაერღვიოთ.

ყარსის რაიონი. 12 აპრილს ღამით ყარსის ციხის შტაბში ოსმალოთა დელეგაცია მოვიდა ზეგლი ახმეტიდან.

მდ. ყარს-ჩაის მარცხენა სანაპიროს ფორტები 12 აპრილს საღამოს უკვე ოსმალთა ხელში იყო. ამის შემდეგ [illegible] ცეცხლი მოედვა საინტენდანტო საწყობს. 12 აპრილს ყარსის მიდამოებში მცხოვრები თათრები დაეცნენ სად. ყარაიალს: ისინი ადგილობრივი ჯარის ნაწილებმა გარეკეს.

ერივნის მიმართულებით. გავრეკეთ ქურთთა ბანდები, რომელნიც მარქარის რაიონში თავს ესხმოდნენ ტრანსპორტს და არაქაის ხიდს იგდირ—ეჩმიაძინის შარა-გზით.

შატილოვი.

ომის დეპეშები

(ანდღონსანი)

ტფილისი 14 აპრილი.

სტამბოლი. ოსმანიის სადგური. ცნობა 1918 წლის 24 აპრილიდან.

პალესტინის ფრონტი. კანტი-კუნტი ბრძოლაა პატრულებისა. ნაბლუსის მახლობლად ჩამოვაგდეთ მტრის 1 ჰაეროპლანი. მზვერავი მოვკალით, მფრინავი დავატყვევეთ.

კავკასიის ფრონტი. ყარსთან ნაყოფიერი ბრძოლა გვქონდა მტრის ჯარებთან. ხელში ჩავიგდეთ 860 ზარბაზანი და სხვა და სხვა კალიბრის. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბერლინი. 26 აპრილი.

დასავლეთის ფრონტი. გენ. ფონარმინის არმიის შეტევა კემელის მიმართულებით სრულის გამარჯვებით დამთავრდა. კემელი, რომელიც ღრმად შედის ფლანდრიის ველში, ჩვენს ხელშია. არტილერიის გაცხოველებული მოქმედების შემდეგ გენ. ებერისა და სზერპარდტის ქვეითთა ჯარმა გუშინ დილით იერიში მიიტანა ფრანგების დივიზიაზე. ინგლისელების ჯარი, რომელიც კემელის დასაცავად იყო შეყვანილი და ვიდჩეტსა და დრონატერთან დაბანაკებული, პოზიციებიდან გარეკეს. სტილუა ჩვენმა ჯარმა დაიკავა. ავიღეთ კარგად მოწყობილი პოზიციები. პრუსიის და ბავარიის ჯარმა იერიშით აიღო სესაი და კემელის მთა. არტილერიის დახმარებით ჩვენი ქვეითა ჯარი კემელფენს მიუახლოვდა. ჩვენ ავიღეთ დრანოუტრი და ვლოო-ჰელგერის ჩრდილო-დასავლეთი მაღლობები, საჰაერო ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ზურგის გზებს, სადაც მტრის ჯარი და შესახვევი ნივთები იყო. გუშინდელი ნადავლი უდრის 6500 ტყვეს (უმეტესად ფრანგებია). ტყვეებში ფრანგებისა და ინგლისელთა პოლკების კომანდირებიც არიან. ვილლეს-ბრეტონი, სომის სამხრეთით რომ არის, და ჩვენ მიერ იყო აღებული, ისევ მტრის ხელში გადავიდა, რადგან ვერ გაუძლ ვდნენ მტრის კონტრ-იერიშებს.

გერმანელების რადიო იუწყება, რომ 24 აპრილს კაიზერი ზეებრიუგეში მოვიდა და პირადად დარწმუნდა რომ ყველა ჩვენი სიმაგრე და ბანაკი კარგ მდგომარეობაშია.

ინგლისში დაბრუნებულნი ამბობენ, რომ ცნობები, თითქოს ზეებრიუგეს ალებისას გაანადგურეს ყველა საწყობი იარაღი და სურსათი და თითქოს შლიუზენიც ააფეთქესო სიმართლეს მოკლებულია.

ინგლისის რადიო იტყობინება. კამინეს არხის მახლობლად მტერმა დაიპყრო დრანუტრ—კემელი, გორაკითა და სოფლით. მტრის ბატალიონებმა გუშინ იერიშები მოიტანეს. დღეს დილით ფრანგებმა და ინგლისელებმა კონტრ-იერიშები და ნაყოფიერადაც. მრავალი დაატყვევეს. მტერმა მეტის სიმკაცრით განახლა იერიშები ლაკრედან ლაკლიტემდე და ბრეკომეს იქითაც ბლიკეს მეზობლად. მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ; მაგრამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერმა შესძლო ჩვენი გარეკა ლაკრეს მიმართულებით.

იპრის ორსავე ნაპირას მტერმა გაიმარჯვა, დღეს დილით, ადრე, ინგლისის და საფრანგეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს მტერზე ჭნაუმეს სამხრეთით გონპარდტის მეზობლად რომ არის.

პარიზის მდგომარეობა

პეტროგრადი. 24 აპრილი. ღამის რადიო-დეპეშა. გერმანელების საჰაერო ესკადრამ პარიზზე გადაფრინდა ლხ ყუმბარები ჩამოაგდო: ამის გამო აფეთქდა გაზის სადგური.

რადიო-დეპეშები

(ადღონსანი)

პეტროგრადი. 24 აპრილი. დღეიდან რეგულიარული კავშირი წესდება საბჭოს მთავრობისა და საბჭოს საელჩოს შორის ბერლინში. კვირაში ორჯელ მოსკოვიდან გაიგზავნება ბერლინში სადიპლომატო კურიერები, რომელნიც მიაწვდიან საელჩოს საბჭოს მთავრობის განკარგულებებს და იქიდან სათანადო მოხსენებებსაც წამოიღებენ. პირველი კურიერი დღეს იგზავნება.

პეტროგრადი. 24 აპრილი. პეტროგრადის შემნახველ-გამსესხებელ კასებში ყიდულობენ ოქრო და ფული, როგორც რუსის, ისე უცხოეთის. 5 მანეთი (ოქრო) ფასობს 25 მან. 67 კაპ., 10 მანეთი—58 მან. 14 კაპ.

პეტროგრადი. 24 აპრილი. სამხედრო საქმეების კომისარმა ტროცკიმ დეპეშით აცნობა ციმბირის მთავრობას, რომ მან გამოუშვას რუსეთში სამხედრო ტყვები, ხოლო წინასწარ იარაღი აჰყაროს.

მოსკოვი. 25 აპრილი. უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც პეტროგრადის დაცვის საქმე უნდა განეხილათ, თავმჯდომარე ტროცკიმ განაცხადა, რომ სრულებით ზედმეტია იმაზე ლაპარაკი რომ პეტროგრადიდან ჩამოსულმა მენ. შვარცმა განაცხადა, რომ პეტროგრადის მდგომარეობა საშიშია, თუმცა უიმედო არ არისო. დაადგინეს პეტროგრადის დაცვის საქმე შვარცს მიანდონ. ღამის 1 საათზე შვარცი პეტროგრადში გაემგზავრა.

პეტროგრადიდან 24 აპრილი. ვენიდან იუწყებიან, რომ გალიციის მრავალ ქალაქში დიდი მანიფესტაციები მოხდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში. იყო შეტაკება, რასაც სისხლის ღვრა მოჰყვა. ჯარისკაცები ბრბოს ესროდნენ. არეულობა განსაკუთრებით აღმოსავლეთ გალიციაში იყო უმეტესად ლვოვში. მსხვერპლი დიდია. ბუდაპეშტში დროებით გაფიცვებია: საყოველთაო საარჩევნო უფლებას მოითხოვენ.

პეტროგრადი 24 აპრილი. გუშინ ს.-რევ. პარტიის ყრილობის სხდომაზე გამოირკვა, რომ უმრავლესობა პარტიის წევრებისა კატეგორიულად მოითხოვს, რომ საბჭოს მთავრობიდან გამოწვეულ იქმნან ს.-რევ. პ. წარმომადგენლები არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია ზავის პირობების გატარება, რომელიც პარტიამ არ მიიღო, არამედ იმ მიზნითაც, რომ საბჭოს მთავრობა კოალიციის გზას დაადგეს და [illegible] შირი შეკრა იმპერიალისტურ ქვეყანასთან და ამით სოციალურ რევოლიუციას უღალატა.

ოსმალეთის პასუხი საზავო მოლაპარაკებაზე.

ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა მიიღო:

„პატივი მაქვს გაცნობოთ: ოსმალეთის საზავო დელეგაცია გამოვა რამდენიმე დღის შემდეგ სტამბოლიდან. იუსტიციის მინისტრი ხალილ-ბეი და მე ვიღებთ მონაწილეობას საზავო დელეგაციაში.

თქვენი სურვილის თანახმად, საზავო მოლაპარაკების ადგილად დანიშნულია ბათომი.

ჩრდილო-კავკასიამ გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ აცნობა საიმპერიო მთავრობას და სხვა სახელმწიფოებს. სტამბოლში მყოფნი ჩრდილოეთ-კავკასიის დელეგატები გამოემგზავრებიან ბათომში ოსმალეთის საზავო დელეგაციასთან ერთად [illegible] მოლაპარაკებას მიზნით [illegible] ჩრდილოეთ-კავკასიის [illegible] ამიერკავკასიასთან. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სალამი და ის სიამოვნება, რომელსაც მე განვიცდი იმ იმედით, რომ ორთავე მხარესათვის სასურველად დამთავრდება საზავო მოლაპარაკება.

ოსმალეთის ჯარის ამიერკავკასიის ფრონტის მთავარ-სარდალი ვეჰიბ-ფაშა".

ორი ბანაკი

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გადიქცა ადგილობრივ პრესაში ფიცხ საკითხად. როგორ უყურებენ ამ აქტს, რა მხრივ არ აფასებენ ამ ისტორიულ ნაბიჯს, რა მომავალი პერსპექტივებს არ ხატავენ. ზოგი ამ რადიკალურ ნაბიჯს [illegible] ხელით, და მასში ჰხედავს [illegible] საშიშროების შესასუსტებლად. ზოგი თავს იმართლებს, რომ სხვა გზა არარ იყო, და იძულებულნი ვიყავით ეს გაბედული ნაბიჯი გადაგვედგა. ნაწილი დემოკრატიის დროშაზე საფრთხეს, და სეიმის მოქმედებას კონტრ-რევოლიუციის არხივს გადასცემს. სხვანი კი სცდებიან, გვიკიჟინებენ, და „ჩრდილოეთის ქარიშხლის" შიშით სცდილობენ ჩვენს მხილებას, ჩვენს მოქცევას.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან პოლიტიკურ მებრძოლთა ჯგუფების პროცეში უსათუოდ გამომჟღავნდება პოლიტიკურ ძალთა თვალსაზრისთა სხვა და სხვაობა. მხოლოდ მიამიტი პოლიტიკოსები თუ იოცნებებენ აზროვნების ისეთ [illegible], რომ ყველა ერთი აზრის გარშემო შემოკრებილიყვნენ, და ყველას ერთი და იგივე საბუთით დაეწყოთ იმ აზრის მტკიცება. მხოლოდ ერთი [illegible] რამ მოგვლენ იპყრობს ჩვენს ყურადღებას, და გვაყენებს რაღაც საოცრების წინაშე, სახელდობრ: მთელი ადგილობრივი პრესა ორ ბანაკად გაიყო, და ეს საიდუმლოება ეროვნულმა მომენტმა მოიქმედა. აბა გადახედეთ ადგილობრივ გაზეთებს. ერთ ბანაკად დარაზმულან ქართული საზოგადოებრივ აზრის მეთაურნი და სხვა ადგილობრივ ერთა [illegible] თანამშრომლობით სცდილობენ ამიერკავკასიის ერთა ხსნას, გადარჩენას. მეორე ბანაკში კი უცხო ელემენტს. რუსობას მოუყრია თავი, და სოციალ-პოლიტიკურ სხვა-და-სხვაობის მიუხედავად, სცემენ განგაშს [illegible] მოუწოდებენ. აი „ერთობა", რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო. იგი სწერს:— „ამიერკავკასიის რესპუბლიკა რევოლიუციის მსვლელობაში დაიბადა... თუ კი დღეს სახელმწიფოებრივად ჩამოშორდა რუსეთს, ეს იმიტომ, რომ რუსეთმა ამ ჟამად დაჰკარგა რევოლიუციური სახე, და ბოლშევიზმის უკანასკნელი რეაქციის ბანაკად იქცა... იგივე გაზეთი სწერს:— „ერთა თვითგამორკვევა უმაღლესი პრინციპი, და იგი [illegible] თუ იმ ერის სრულ დამოუკიდებლობასაც შეიცავს... [illegible] და დაიცვას თავისი ფიზიკური არსებობა, იგი იძულებული გახდა ჩვენი კუთხე დამოუკიდებელ ფედერატიულ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოეცხადებინა, და ყოველი მუშა, შეგნებული დემოკრატია მის არსებობას დაიცავს და არავის ნებას არ მისცემს იგი გადალახოს. სულ ერთი არის, საიდან იქნება ასეთი საფრთხე: აღმოსავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან." „სახალხო საქმე" სწერს:— „სეიმმა ამიერკავკასია დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა, და ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფუძველი უნდა ჩაეყაროს არა მარტო საერთო ამიერკავკასიის კონსტიტუციას, არამედ ამიერკავკასიის ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულების კონსტიტუციასაც... გაუმარჯოს ამიერკავკასიის დამოუკიდებელ-ფედერატიულ სახელმწიფოს"-ო. იგივე გაზეთი სწერს:— „ჩვენი ცხოვრება ახალ საფეხურზე ამოჯებს და ამ ახალ ეტაპს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ეწოდება... უკვე ჩანან სიმპტომები, რომ პოლიტიკურ ლაბირინტს თავს დავაღწევთ, და საერთაშორისო იმპერიალიზმის ცეცხლიდან გამოვიტაცებთ და გადავარჩენთ ჩვენი თავისუფლების წითელ დროშას". „საქართველო სწერს":— „დიდის დაგვიანებით, მაგრამ ამიერკავკასიის ერებმა გადასწყვიტეს ამ საშინელ კოშმარისაგან თავის დაღწევა და 9 აპრილს თავის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.... სეიმის ისტორიულ კრებაზე არ აღმოჩნდა არც ერთი ფრაქცია ნამდვილად ქართული, ნამდვილად თათრული ან ნამდვილად სომხური, რომელიც წინააღმდეგი ყოფილიყოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა". და მართლაც, თუ სეიმის ისტორიულ კრებას დავემყარებით, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ამიერკავკასიის ერები თანაგრძნობით შეხვდნენ თავიანთ ქვეყნის დამოუკიდებლობას, და ერთსულოვან ვოტუმით იქმნა გამოცხადებული ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ასე ფიქრობენ პირველ ბანაკში, ასე ფიქრობენ ამიერკავკასიის მკვიდრნი. სულ სხვას ამბობენ მეორე ბანაკში. კადეტებიდან მოყოლებული მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებამდე ერთი ქსელია გაბმული, ერთ ჯარას ატრიალებენ.

კადეტების გაზეთი „ხალხის თავისუფლება" სწერს: რაც უფრო ნაკლები კავშირი გვექნება რუსეთთან, რაც უფრო ნაკლები იქნება რუსი მოსახლეობის დენა ცენტრებიდან აქ,.. მით უფრო მეტად შესუსტდება ამიერკავკასიაში ქრისტიანული ელემენტი, და გამეფდება მუსულმანობა, რომელიც ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ რიცხვს წარმოადგენს"... „მართლაც არ იციან რას იქმან."... „პრობლემატიური ზავი ოსმალეთთან და გადასარევი ომი რუსეთთან"-ო. კადეტებზე მწვავე რუსული იმპერიალისტური ენით ალაპარაკდა „ზნამია ტრუდა". იგი ამბობს:— „მაგრამ ის, რაც მოხდა სასახლის თეთრ დარბაზში, სადაც პოლიტიკური ავანტიურისტები, დემოკრატიის არცნობილი ბელადები, ცხადი და ფარული კონტრ-რევოლიუციონერები და გამყიდავები სცდილობდნენ ამ აქტის ნამდვილ მნიშვნელობის, და მისგან გამომდინარე შედეგების დაფარვას, ის ამიერკავკასიის ერთა დამოუკიდებლობა კი არ არის, არამედ გაცემა ამიერკავკასიის დემოკრატიის და რევოლიუციისა".— „პოლიტიკურ ავანსცენაზე დღეს დაჯირითობენ ტრაპიზონის გმირები, ხელეთის მეზღვაურები და რევოლიუციის სხვა და სხვა რენეგატები"-ო. ასე სწერს რუსული „სოც.-რევოლიუციონერების" გაზეთი. და მთელ მის წერილებში მხოლოდ ერთი არგუმენტაცია, რომელსაც აქვს ხასიათი არა რევოლიუციონურ სოციალისტური, არამედ პან-რუსული. აი ის საბუთიც:— „ხალხის სიღრმეში რუსეთთან კავშირი უფრო დიდია, ვიდრე ინტელიგენტთა წრეებშიო". და რუსული ნაციონალისტური გაზეთი „სამხრეთის ქარიშხლითაც" კი სცდილობს ამიერკავკასიის ერთა დაშინებას.

თვით „მენშევიკ" სოციალ-დემოკრატების რუსული ორგანო „ბორბაც" კი „ერთობის" წინააღმდეგ ალაპარაკდა და თავისი ხმა საერთო რუსულ ხმას შეუერთა. ასეთია საქმის ვითარება.

რათ მოხდა ეს? რამ შეაერთა ამიერკავკასიის ერთა სოციალ-პოლიტიკური პარტიები და რამ დარაზმა მათ საწინააღმდეგოდ ეს მეორე ბანაკი, რუსულ ორიენტაციას რომ ასე ესარჩლებიან და ყოველნაირი გზით აშინებენ თვით რუსეთის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირატესობასაც კი? კითხვა ყოვლად სადად სწყდება. აქ ეროვნული საკითხი მჟღავნდება მთელი თავისი სიძლიერით. ჯერ ისევ რევოლიუციის პირველ დღეებშივე ადგილობრივი ერები ელოდნენ „ერთა თვითგამორკვევის" პრინციპის განხორციელებას, მაგრამ რუსეთის მმართველი წრეები, თვით სოციალისტებიც კი ყრუ იყვნენ ამგვარ ეროვნულ ძახილისთვის, და თუ ერთნი „დიდი რუსეთის" იმპერიალისტურ ხატზე ლოცულობდნენ და მის სამსხვერპლოზე უსინდისოდ მიჰქონდათ არა რუსთა სასიცოცხლო ინტერესები, მეორენი „წიგნით" და „პროგრამით" გატაცებულნი, მაინც ვერ ისმენდნენ ერთა ხმას და რევოლიუციის კორიანტელში ვერ ამჩნევდნენ საარსებო მოთხოვნილებებს. და როცა ერები, ლოდინით მოქანცულნი თვით დაადგნენ აქტივობის გზას, მთელი რუსეთი შეინძრა და თვით სოციალისტებმაც კი, ერთა კანონიერ მოთხოვნილების ჩაკვლა „რკინითა და სისხლითა" სცადეს.

ამიერკავკასიის ერები ყველაზე გვიან დაადგნენ აქტივობის გზას და დაადგნენ მხოლოდ მაშინ, როცა ირგვლივ ხიშტთა ლობე შემოერტყათ, და „თვით-გამორკვევის" საკითხი შესცვალა ფიზიკურ არსებობის საკითხმა. აქ შეერთდნენ ამიერკავკასიის ყველა ერები, რადგან ისინი პირდაპირ განიცდიან იმ შავი ხელების საშიშროებას, რომელნიც ამიერკავკასიის ერთა ჩახრჩობას ლამობენ. განიცადეს ეს და შეერთდნენ. მოსძებნეს სახსნელი გზა და ფრთხილად გადადგეს ნაბიჯი. მაგრამ ეს ვერ გაიგეს უცხოთ და ისევ ძველ ლექსიკონს გვიფურცლავენ. იქ კი ისევ „დიდი რუსეთი" სწერია. რა უყოთ რომ სინამდვილემ ეს ოცნება დაამსხვრია, რა უყოთ რომ რუსეთის რევოლიუციის ნაალაგევზე ხულიგანთა ურდოები დაჯირითობენ. სამაგიეროდ ეს ურდოები დანაწილებულ რუსეთს ხომ „აერთებენ". და რუსი იმპერიალისტები და ცრუ-სოციალისტები ერთდებიან ამ დებულების გარშემო: ისევ ხულიგანური რუსეთი და გაერთიანებული კი, ვიდრე რუსეთის დანაწილება და ერთა თავისუფლების გადარჩენა.

თორემ სხვა რით აიხსნება „რუსული ორიენტაცია, როცა თვით რუსეთი აღარ არსებობს? რომელი რუსეთი დაგვეხმარება? თუ დღევანდელი, სასაცილოა და სავალალო. ვით დაგვეხმარება თვით გაუერანებული და აოხრებული? მომავალი? და რა ვიცით როგორ მოვალს ხვალის რუსეთი? იქნებ დარაზმული რეაქცია აღსდგეს, და განა „სოციალისტი" რუსები იმ ხსნაზე მიგვითითებენ? დიახ მიგვითითებენ, მაგრამ ჩვენ არც ისე ბეცნი ვართ, რომ მათ გაძვალტყავებულ ხელის ჩვენებას გავყვეთ. და მომავალ რუსეთს ვერც ჭვარიკად შევეწირებით.

ჩვენ გვინდა სიცოცხლე, ჩვენც გვინდა თავისუფლება, და თუ რუსეთმა ეს თავისუფლება ვერ მოგვცა, ახლა საკუთარ ძალით ვცდით, და თავისუფლების ძებნაში ან გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით, „მხოლოდ შენთვის გსურს თავისუფლება"-ო, პუშკინის ციგანის ამ სიტყვებით მიმართავენ აგანგაშებულ ადგილობრივ რუსთა ორგანოებს, და უნდობლობით უპასუხებენ, რევოლიუციას და დემოკრატიას კი ჩვენ უფრო კარგად მოუვლით, ვიდრე მომავალი „კომუნისტები", რომლებზედაც უკბილო კადეტები მიგვითითებენ. რუსეთმა ვერ შეაგვარიგა მის კალთებ ქვეშ მყოფი ერები, პირიქით ერთმანეთს გადაკიდა. ვცდით, იქნებ ჩვენ უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, და იქნებ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა იქცეს იმ კარგ ნიმუშად, რომელსაც წაჰბაძავს შემდეგ დღეს სახეწაშლილი და არეული რუსეთი.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

უკრაინული პრესა

„უკრაინსკა ნაროდნა რესპუბლიკა", ჩვენს დედა-ქალაქში რომ გამოდის, 8 აპრილის მეთაურში ეხება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, რომელიც იმ დროს ჯერ სეიმში მიუღებელი იყო და ზოგიერთ წრეებში დიდ წინააღმდეგობასაც იწვევდა და აღნიშნავს, რომ

„დღეს იმდენად მნიშვნელოვანი ხანაა, რომ იგი შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მრავალ წელთა განმავლობაში ამ ქვეყნის ცხოვრებას. ეხლა სრულებით დრო არ არის იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა სხვა და სხვა კომბინაციები შეთხზონ ნაჩვევ ორიენტაციათა გარშემო. დამყარება ამ ნაჩვევ ორიენტაციებზე ეხლა იმას ნიშნავს, რომ ჩაითრიო ხალხი პოლიტიკურ ავანტიურაში და პეტერბურღული ვოდევილი ითამაშო. ამიერკავკასიის დემოკრატიისთვის ეხლა მარტო ერთი ორიენტაციაა შესაძლებელი: დაეთმოს ცოტა, რომ ყველაფერი არ დაიკარგოს, ეს ორიენტაცია ხმა მაღლივ მოითხოვს: დრო არ ითმენს, გადაარჩინეთ ქვეყანა განსაცდელისაგან. ამიერკავკასია უნდა დადგეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ნიადაგზე და განაახლოს საზავო მოლაპარაკება ოსმალებთან, რათა ქვეყანას მისცეს მშვიდობიანობა და მოახდინოს ცოცხალ ძალთა მობილიზაცია ქვეყნის საკეთილდღეოდ და წარმატებისათვის".

მეთაური ბოლოს იმედს გამოსთქვამს, რომ დემოკრატია მოისურვებს დღეიდან მაინც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას და ასეთი სიტყვებით ათავებს თავის წერილს: მაშ გაუმარჯოს ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას, გაუმარჯოს ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას!

ახალი ამბავი

◆ **კორპუსის უფროსი ნაზარბეგოვი** 13 აპრილს გზათა მინისტრს დეპეშით აუწყებს: მდგომარეობის და მიხედვით ნორმალურ მუშაობის აღსადგენად საჭიროა სამხრეთის ნაწილი გამოყოთ და მე-4 განყოფილების უფროსი დამიმორჩილოთ მე ტფილისის განკარგულებანი, როდესაც მდგომარეობა ყოველ წამში იცვლება შეუძლებელია შესრულებული იყოს.

◆ **განჯიდან ბეხლინსკი** იუწყება: „ჯავშნოსანი მატარებელი გაგზავნილია. მოსულ ცნობებიდან გავიგეთ, რომ ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულია სად. ბალაჯარი და გზები.

◆ **ლტოლვილთა** მთავარმა კომიტეტმა ჯულფიდან მიიღო დეპეშა, რომ ვანიდან გამოქცეულნი 20 ათასი რომელნიც ხოიში მოგროვდნენ ეხლა ჯულფაში ჩამოვიდნენ. სპარსეთის მთავრობა წინააღმდეგია იმათი აქ დარჩენისა უპურობის გამო. მთავარი კომიტეტი მზად არის დახმარება გაუწიოს ლტოლვილებს, მაგრამ არ იცის რა გზით მოახერხოს, მიმოსვლის შეწყვეტის გამო.

◆ **პოზიციიდან.** სამტრედიიდან პირდაპირის მავთულით გვატყობინებს ამხ ს. მდივანი: ესეცაა დავბრუნდი პოზიციიდან. ამხანაგების სულიერი განწყობილება კარგია... სოსო გედევანიშვილი, სამ. დადიანი და სხვები გთხოვენ შეატყობინოთ მათ ოჯახებს, რომ კარგად არიან. ბრძოლის დროს 10 აპრილს დაიკარგა ერთი აფიცერი ვაშაძე და ერთიც დაჭრილია.

◆ **ვახო აბაშიძის იუბილე.** დღეს, 15 აპრილს, ქართულ კლუბში ვ. აბაშიძის 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად დანიშნულია საიუბილეო წარმოდგენა.

◆ **მილიციის უფროსმა** შეიპყრო სპირტიან სასმელებით მალულად ვაჭრობისათვის ა. ართაზოვი; ქუჩის და ეზოს უსუფთაოდ შენახვისათვის მეეზოვე კოლონიის ქ. № 7 სეფიაშვილი. განათავისუფლეს შეპყრობილი ბოიაჯიანი, რომელიც ფეხსაცმელის ნიხრის დარღვევისათვის იყო შეპყრობილი.

◆ **ქურდობა.** მილიციის უფროსს გამოუცხადა მღვდ. ფირცხალაშვილმა რომ ტფილისის სადგურზე მე-2 კლასის ვაგონიდან მას მოჰპარეს ყუთი 4 ათასი მან. ღირებულობით. ქურდები იპოვეს აღმოჩნდა: ე. მეგენიშვილი, ალ. კუზნეცოვი და პ. კურინსკი.

◆ **წესი მირონის მოხარშვისა შესრულებულ** იქნება კათალიკოზის კარის ეკლესიაში ვნების კვირის ორშაბათს, 16 აპრილს, შუადღის პირველ საათზე. მირონის ხარშვა გაგრძელდება სამს დღეს. მირონის კურთხევა კი მოხდება სიონის ტაძარში დიდს ხუთშაბათს, წირვის შესრულების დროს. წესს მირონის მოხარშვის და კურთხევისას შეასრულებენ უწმიდესი საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი კირიონი და ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

◆ **არშინ მალ-ალანი.** ვასო აბაშიძის, ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულ კლუბში სამშაბათს 17 აპრილს.

◆ **ტფილისის სამოსამართლო უბნები.** ტფილისის საქალაქო გამგეობამ და მასთან არსებულმა საიურიდიო კომისიამ მთავრობას უკვე წარუდგინეს თავიანთი დასკვნა—აზრი შესახებ ქალ. ტფილისის ეროვნებისდა მიხედვით სამოსამართლო უბნებად დაყოფისა. ქალაქის გამგეობა და საიურიდიო კომისია შეუძლებლად სცნობენ სტატისტიკურ ცნობათა უქონლობის გამო დღეს დაანაწილონ ქალაქი უბნებად. რადგან ქალაქის მოსახლეობა მუდმივ მოძრაობს და ერთი უბნიდან მეორე უბანში სახლდება ხოლმე, ამისთვის მათი აზრით ქალაქი უნდა დაიყოს არა 25 უბნად, როგორც ეს მთავრობას ჰქონდა წინად განზრახული, არამედ ხუთ დიდ უბნად, სადაც იქნებიან ცალ-ცალკე მოსამართლენი, რომელნიც კი ადგილობრივ ენებს იცნობენ.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: ხ. ზიზოვი, ხ. ქიტნიცა, ა. შელიშვილი, მ. ჟელეზნიაკი ხაზინის საქონლით ვაჭრობისათვის.—ლ. არუთიუნოვი 15 ტომარა შაქრის ყიდვისათვის. კავკ. საინტენდანტოს საწყობის დარაჯი ტიდეევი ქურდობისათვის. მოხელე ბოჟევნიკოვი ხაზინის ფულის წაღებისათვის.

ბრძოლის ველისკენ

5 აპრილი.

საღამოს სამტრედიაში ერთი სენსაციური ცნობა ვრცელდება: ფოთში ცენტრო-ფლოტი მოვიდა ბათომის დასახსნელად ოსმალთა ხელიდანო, მაგრამ ეს მხოლოდ ხმაა.

სოფლებიდან თანდათან ჯარისკაცები მოდიან სამტრედიას. ჩვენი რაზმიც (ბათომის პარტიზანული პოლკი) დღითი-დღე იზრდება, ასე რომ ამ ჟამად სამტრედია გადაქცეულია სამხედრო ბანაკად, სადაც თავი მოუყრიათ სხვა და სხვა ნაწილის ჯარებს.

ყოველდღე ვარჯიშობა სწარმოებს ჯარისკაცებისა, რომელნიც ძალიან ჩქარა ითვისებენ სამხედრო ცოდნას.

კერძოდ ჩვენი რაზმი ორს ადგილას არის მოთავსებული. ნაწილი სდგას სოც.-ფედ. კლუბის შენობაში, ხოლო მეორე ნაწილი. სამტრედიის საზოგადოებრივ კლუბის შენობაში. სულიერი განწყობილება ჩვენის რაზმელების საუცხოვოა. საომრად გამზადებულნი ოდნავაც არ კარგავენ დროს და დიდის ხალისით ვარჯიშობენ, თავისუფალ დროს გაისმის სხვა და სხვა ქართული სამხედრო სიმღერა.

— ცოტანი ვართ, მაგრამ კარგნი ვართ. რა უნდა დაგვაკლოს მტერმა. რაც უნდა ბედი გვეწვიოს, ის აუცილებლად ცხადია, რომ ჩვენ ტყვია ზურგში არ მოგვხვდება, რადგანაც პირდაპირ ვეკვეთებით მტერსაო.— იძახიან რაზმელები და ერთმანეთში უფრო აღვივებენ ვაჟკაცობის სულს.

აქ მყოფთ ძალიან გვწყურია ცნობები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან, ამიტომ ყველა გულის ფანცქალით მოელის შუადღის მატარებელს, რომელსაც ტფილისიდან გაზეთები მოაქვს.

დღეს შუადღისას სადგურზე რომ გავდივარ გაზეთების საყიდლად, უცნაური სურათი მხვდება: გაზეთების საყიდლად ხალხის გრძელი კუდი გაბმულა და შეუძლებელია ახლავე ყიდვა გაზეთისა და ცნობების ჩქარა გაგება. იძულებული ვარ მთელი ერთი საათი შევიცადო სადგურზე.

სამტრედიაში სიძვირეა. სჩანს აქაურ ვაჭრებს საკმაოდ განვითარებული აქვთ მადა ხალხის ყვლეფისა და დღევანდელ განსაკუთრებულ გარემოებით და სამშობლოს განსაცდელით მოხერხებულად სარგებლობენ.

საღამოს 5 აპრილს ერთი უსიამოვნო გრძნობა განვიცადეთ. ჩვენს პოლკში მოდის ერთი ქალი, დუშელი, კ—ლის მეუღლე და თავის შვილს თხოულობს, რომელიც ჩვენს რაზმში თავის სურვილით არის ჩაწერილი. ეს რაზმელი მართლაც ახალგაზრდაა, 16—17 წლისა, მაგრამ იარაღს კარგად ხმარობს და ბრძოლის წყურვილით არის გატაცებული.

— დამიბრუნეთ შვილი, რომელიც ტანჯვით გამომიზრდიაო, იძახის მისი დედა.

შვილი უარზეა, თუმცა ამხანაგები ურჩევენ, დედას წაჰყეო.

— არა, არ შემიძლიან,—ამბობს ახალგაზრდა,—რომ ჩემი ძვირფასი ამხანაგები დავტოვოო. თუ მაინცა და მაინც ძალას დამატანთ, წავყვები დედას და გზაზე მოვკლავ, თუ ამაზე მეტად არ ესმის სამშობლოს სიყვარულიო.

მეტი გზა არ არის: დედა ცარიელი მიდის, თან ამბობს:

— ეს ყმაწვილი ახალგაზრდაა, ბრძოლაში არ გამოგადგებათ; თუ გინდათ ჩემი ქმარი წაიყვანეთო.

ირკვევა, რომ ეს პატივცემული ქართველი დედა დიდიხანია აღარც ცხოვრობს თავის ქმართან, რომლის ომში გაგზავნაც მას ასე თავგამოდებით სურს.

6 და 7 აპრილი.

ეს დღეები მე და ჩემმა ორმა ამხანაგმა ქუთაისში გავატარეთ, სადაც გაგზავნილნი ვიყავით. იქ დავრწმუნდით, რომ მობილიზაციის საქმე წესიერად არ არის დაყენებული. ჯერ გამოცხადებულა მობილიზაცია და ხალხიც ჩაწერილა ჯარში, მაგრამ ქუთაისის საგუბერნიო კომისარს ისევ დაუშლია შეკრებილნი, ჯარი საჭირო არ არისო. ახლა ხელმეორედ დაწყებულა ჯარების შედგენა მსურველებისაგან.

8 აპრილი.

ნაშუადღევს ქუთაისიდან ისევ სამტრედიაში ვბრუნდები. ამ ორს დღეში აქ მყოფი ჯარი უფრო გამრავლებულა. ნაწილი ჯარისა უკვე გაგზავნილია ნატანებისკენ და ქობულეთის რაიონში მოქმედებს.

საღამოს ერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოგვდის ნატანებიდან. დღისით ჩვენი ჯარი ჯავშნოსანი მატარებლით გასულა ნატანებიდან და დიდის ბრძოლის შემდეგ საშინლად დაუმარცხებია აჭარელნი და ქობულეთელნი, რომელნიც მრავლად შემორტყმიან მატარებელს და დიდი სროლა აუტეხნიათ. ჩვენი ჯარი წინ წაწევას განაგრძობს.

ამავე საღამოს მეორე ცნობაც მოდის, მაგრამ არა სასიამოვნო: ოზურგეთს ოსმალოს ჯარი მოადგა ლიხაურიდანაო.

საღამოს 6 საათზე შტაბისაგან ჩვენი პარტიზანული რაზმი განკარგულებას იღებს, ჩქარა მოემზადეთ ოზურგეთისკენ წასასვლელადაო.

ჩვენს რაზმს წინად სულ სხვა გეზი ჰქონდა აღებული. ამას გარდა რაზმის საბოლოო მოწყობა და დანაწილება დამთავრებული არ არის, მაგრამ ყველანი დიდის ხალისით ემორჩილებიან შტაბის განკარგულებას და საჩქაროდ ემზადებიან წასასვლელად.

ღამის 12 საათზე ჩვენი რაზმი სამტრედიიდან ნატანებისკენ გადის. წასვლის წინ შტაბისაგან სხვა განკარგულება მოდის: ლანჩხუთში გაჩერდითო.

მე და რამოდენიმე ჩამორჩენილი ამხანაგი ისევ სამტრედიაში ვართ, სადაც არავითარი საყურადღებო და სარწმუნო ცნობა არ მოგვდის ომის მსვლელობის შესახებ.

შუადღისას მატარებელს ვშოულობთ და ტფილისიდან ჩამოსულ ამხანაგებთან ერთად ლანჩხუთს მივემგზავრებით, სადაც დაბანაკებულია წინა ღამით წასული ჩვენი რაზმი.

გზა-გზა გვხდება სამტრედიის მხარეს მომავალი მატარებლები გამოქცეულ მშვიდობიან მცხოვრებლებით. თითქმის ყველანი ბავშვები და ქალები არიან.

საჯევახოში ცუდის სურათის მოწმენი ვხდებით. სადგურიდან იძვრის სოფლებისკენ აუარებელი ჯარისკაცი, რომელთაც ვინტოვკები უჭირავთ და შინ მიეშურებიან, თითქოს ხანგრძლივ ბრძოლისა და ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ კეთილ მახარობლებად მიდიოდნენ თავიანთ ცოლშვილში. გული მით უფრო გვიკვდება, რომ ვინტოვკები მაინც არ დაუტოვებიათ და თან მიაქვთ ვინ იცის რა მიზნისთვის იმ დროს, როდესაც ეს თოფები საჭიროა სამშობლოს დასაცავად.

ნიგოითშიც გვხდება ასეთი სურათი. აქვე არიან გამოქცეული მშვიდობიანი მცხოვრებნიც.

ლანჩხუთში ცუდი ამბავი გაგვაგებინეს: ოზურგეთი მართლა აუღია ოსმალოს ჯარს; მშვიდობიანი მცხოვრებნი გამოქცეულან.

აქ გვხდება ერთი გურული ჯარის-

საქართველოს ეკონომიკა და დემოკრატიის პოლიტიკა

2.

ხელოვნურად ვერ გავალამაზებთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების საშინელ სურათს. ხორბლეულობის კულტურის დარგში რუსეთმა ტყავი გაგვაძრო, ძალიან დაეცა პურის და სიმინდის წარმოება. ორმოცი წლის წინა დროის ამბავი ყველას დავიწყებია და დღეს გზის ყოველ ჯვარედინზე ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანას ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია, დაიმშევაო, თუმცა მრავალი საუკუნოები გვიცხოვრია და პურით მასპინძლობა გაგვიწევია სპარსეთისა და ოსმალეთისათვის.

რუსეთმა ისე დაგვღუპა, რომ დღეს შეგნებული ადამიანები ამბობენ—მხოლოდ რუსეთის ეკონომიკაშია ჩვენი ხსნაო. ამას რომ ამბობდეს რომელიმე ქუჩის მტკეპნელი ადამიანი—ყურადღების ღირსიც არ იქნებოდა, სამწუხაროდ ამ აზრით არიან გაჟღენთილი ჩვენი სამინისტრო ადამიანები, მინისტრები და ბევრი მოღვაწეც, რომელთაც სახელმწიფოებრივი სიბრძნე იმ დებულებით ამოიწურება, რომ კონტრ რევოლიუცია ცუდია, საჭიროა ძალთა მობილიზაცია, ფული და სიმდიდრე; მაგრამ ამისათვის თუ პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ ეკონომიური, ფინანსიური, ფისკალური და სხ. სრულიად არაფერი მოეხსენება.

შეიძლება ბევრია იფიქროს, რომ ხორბლეულის კულტურის დაცემით ჩვენში აღსდგა სხვა უფრო მაღალ კულტურის დარგები. ხშირად გვეუბნებიან, რომ ვაწარმოებთ აბრეშუმს, დაფნას, ვენახს, ბამბას, ზეთის ხილს, [illegible] ხილს... მაგრამ ყველა ამაებზე უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე საქმით ვაკეთებთ. ძველადაც გაცილებით მეტი გვიკეთდებოდა აბრეშუმიც, ღვინოც და სხვა დარგები მაღალი კულტურისა. იმდენი, რამდენიც დავკარგეთ ხორბლეულობაში, არ შეგვიძენია მაღალი კულტურით—აი ასეთია ჩვენი დებულება სოფლის მეურნეობაში.

მკითხველი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს მრეწველობას. საქართველოში ძველი დროის მრეწველობა გაანადგურა რუსის მრეწველობამ, რუსეთისათვის საქართველო შეიქმნა კოლონია, ბაზარი, სადაც ეროვნულ ეკონომიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ყოველგვარი გადაკეთებული და დამზადებული საქონელი ჩვენ შემოგვქონდა რუსეთიდან, აგრეთვე უცხოეთიდან, ევროპიდან. 1874 წელში ტფილისმა მიიღო 1831 ათასი ფუთი საქონელი, და ამაში 552 ათასი ფუთი იყო შაქარი, 169 ათასი ფუთი ფართალი, 101 ათასი ფუთი ფქვილი, 104 ათასი სიგალანტერო საქონელი და სხ. ასეთივე ცნობები ქუთაისის, მიხაილოვის, გორის, სამტრედიის, ფოთის და სხვა რკინის გზის სადგურისა.

ვყიდულობდით დამზადებულს და ძვირფას საქონელს, ვყიდდით დაუმზადებელს, ნედლს და იაფ საქონელს და ამაშიაც ვერ ვიჩენდით სიყოჩაღეს. დაკნინდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ ვერც მრეწველობამ მოიმაგრა წელი. 1912 წელს ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების გადამუშავებელ მრეწველობას მოუცია სულ 12 მილიონი მანეთის ნაწარმოები ესე იგი მთელი მრეწველობა ერისა ღარიბი ბანკის მუშაობასაც ვერ სჯობნის. 12 მილიონი მანეთის ნაწარმოები ეკუთვნის საარაკოდ წვრილ წარმოება დაწესებულებას. ტფილისის გუბერნიაში უდიდეს სამრეწველო დარგს არაყის გამოხდა შეადგენდა, სულ გამოუხდიათ 33 მილიონი მანეთის არაყი, მეორე ადგილი უკავია სპილენძს—2,3 მილიონ მანეთისა (სპილენძი მიღებულია ალავერდის ქარხნებში—ბორჩალოს მაზრა), ხოლო მესამე ადგილი უჭირავს ხილის წვენის წარმოებას—1,2 მილიონი მანეთის. ქუთაისის გუბერნიაში არც ერთი ფაბრიკა და ქარხანა არ ითვლებოდა 1911 წლისათვის, რომელიც ერთ მილიონ მანეთის საქმეს აკეთებდეს—თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამთო მრეწველობის დარგს.

საქართველოს მრეწველობის ზერელე გათვალისწინებიდანაც ყველა დაინახავს შემდეგ ფაქტს: ჩვენში ისეთი სამრეწველო დარგები „იკიდებენ" ფეხს, რომელნიც ან ვერ იტანენ უცხოეთიდან ტრანსპორტს, ან რომელთაც ადგილობრივად აქვს არაჩვეულებრივად სარგებლიანი ბუნებრივი პირობები. იმაზე მეტს ეკონომიურ სილატაკე მრეწველობის დარგში ადამიანის გონება ვერ წარმოიდგენს მეოცე საუკუნეში. არავითარი წინმსვლელობა და ერის დაწინაურება არ მოხერხდება თუ ასეთი ეკონომიური ძალთა განწყობილება ხელოვნურად საფუძვლიანად არ შეიცვალა. ვაჭრობა და ალებ მიცემობა ვერ გაძლიერდება თუ მეურნეობა და მრეწველობა არ არის განვითარებული; ნაოსნობა, რკინის გზა შარა გზები ფართო ხასიათს ვერ მიიღებს თუ ხალხის ენერგია წარმოებაში, მუშაობაში არ გაიჩალხა, განათლება და კულტურა საოცნებო საგანი იქნება გარეშე ეროვნული სიმდიდრისა.

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა მრეწველობა - მეურნეობის თვალსაზრისით—საბედისწეროა. ნურავის წაახალისებს ის ფაქტი, რომ დღეს სცოცხლობს ქართველი ერი. ვინ არ იცის, რომ ერთ დროს მსოფლიოს თავზარდამცემ ხალხებს წარმოადგენენ ასირიელები, ბაბილონელები, ფინიკიელნი, მაგრამ დღეს გამქრალა მათი არსებობა. ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი მოგვაგონებს, რომ მეცამეტე საუკუნემდე აღმოსავლეთის ქვეყნებში მრეწველობის მრავალს დარგში სჯობნიდნენ ევროპიელებს, აქედანვე გამომდინარეობდა აღმოსავლეთის კულტურის უპირატესობა დასავლეთ ევროპის კულტურაზე, მაგრამ თუ ეკონომიურმა დაქვეითებამ დასცა აღმოსავლეთის ერები და გადააშენა რამდენიმე ბუმბერაზი სახელმწიფო, რა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეკონომიურ უფსკრულისაკენ მიმავალ ხალხს ბედი არ დაგვატეხს ამგვარს უბედურებას? იმ ერების აწმყო მკვდარი არ არის, ხოლო მომავალი საბედისწეროა, რომელთაც ცხოვრებაში მრეწველობის და მეურნეობის ენერგია სათანადოდ არ არის განვითარებული. უდიდეს სავაჭრო პოლიტიკურ კავშირს წარმოადგენდა მეცამეტე საუკუნეში გერმანულ ქალაქების კავშირი მაგრამ შესანიშნავი განზა (85 ქალაქის კავშირი) დაეცა შინაგან მრეწველობის და მეურნეობის განუვითარებლობის გამო. იტალიის ღონიერი რესპუბლიკები სწორედ შინაურმა ეკონომიურმა სიუძლურემ და ეროვნულმა დაქსაქსულობამ დაღუპა. ისპანიასა და პორტუგალიას ჰქონდა საუკეთესო კოლონიები ახალ ქვეყნებში, ამის გამო შეიძინა დიდძალი ოქრო-ვერცხლი, მაგრამ თვით მკვიდრ ხალხთა შინაურ მრეწველობითი და სამეურნეო ენერგიის სისუსტის გამო ოდესღაც ბუმბერაზი სახელმწიფო დღეს ყოველ მნიშვნელობას მოკლებულ სამეფოდ არის გადაქცეული. ეს საისტორიო მასალა და ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ დავიღუპებით თუ თანამედროვე საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვალა, თუ ლაპარაკის ქვეყანა მოქმედების და წარმოების სამშობლოდ არ გადაიქცა.

მოკლეთ და საერთო ხაზებით საზოგადოებას წარმოუდგინეთ ქართველ ხალხის ეხლანდელ ეკონომიკის სიბეჩავის სურათი. საგანგებო გამოკვლევა რომ მოვახდინოთ ამ საგანზე, ცხოვრების ყოველი წვრილმანი ნათქვამს დაამტკიცებს. რა გამომდინარეობს ნათქვამიდან? მხოლოდ ერთად ერთი: აწინდელი ჩვენი ცხოვრება არა მარტო ფორმალურად, არსებითად, ეკონომიურის ხასიათითაც უნდა შეიცვალოს, საქართველოს ძლიერი არსებობა, დიდძალი ბუნებრივი ძალა და სიმდიდრის წყაროები ყავარჯენად უნდა გაუკეთოთ მომავალს თავისუფალ საქართველოს. თუ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ეკონომიური კულტურა დაეცა, ცხადია,—ისე, როგორც დღემდე გვიცხოვრია და გვიმუშავნია ველარ ვიცხოვრებთ, ისე ველარ ვიმუშავებთ. ჩვენ ვიცოდით, რომ ეროვნულ პოლიტიკურ საკითხში ვიყავით ნაციონალისტები, დროა ეხლა მაინც შევიგნოთ, რომ ეროვნულ-ეკონომიურ საკითხებშიაც ვართ ნაციონალისტები, ეროვნული ეკონომიკა არ გვაინტერესებდა და ამის გამო საარაკო უძლურებას წარმოვადგენთ.

რა ნაირად უნდა შევიცვალოთ ეროვნულ-ეკონომიური ნიჰილიზმი, რა ეკონომიურ პოლიტიკას უნდა მივყვეთ? ეს პრობლემა რთულია, ძნელია და შეუცდომელ პასუხისათვის ბევრი გარემოება უნდა იქმნას გათვალისწინებული. ფრიდრიხ ლისტი, რომლის მოძღვრებაზე აგებულია თანამედროვე გერმანიის ძლიერება თავის დროზე მოითხოვდა, რომ ერის ეკონომიურ აღორძინების საშუალებათა დასახელებაში დიდი სიფრთხილე გამოგვეჩინა, ყველასი აზრი მოგვესმინა. საქართველოში კი უმდაბლეს განათლების ადამიანიდან დაწყებული უმაღლეს განათლების ადამიანამდე ეკონომიურ პოლიტიკის საკითხს გაურბის. მას არავინ ეძებს და ხშირად თუთიყუშივით იმეორებს განყენებულ გონებიდან გაგონილ რაიმე დებულებას. ჭეშმარიტად: ჩვენ იმიტომ ვართ ეკონომიურად ბეჩავნი, რომ ბეჩავი ეკონომიური მოაზრენი ვართ. ფრ. ლისტი კი საჭიროდ სთვლიდა ერის ეკონომიურ სიცოცხლისათვის ეროვნული ეკონომიკის სისტემა მხოლოდ პროფესორების გონების საგანი კი არ უნდა იყოს, არამედ ხელზე მოვაჭრეების, კომივოაჟორების, ნოქრების, დალაქების, ლაქიების, ვექილების, ექიმების და მწერლების. აი ასე უნდა ვიყოთ ეკონომიკით დაინტერესებულნი. განა ჩვენში მგზავსი მოვლენა წარმოსადგენია?

შეიძლება ჩვენი ხმაც შეიქმნეს მსხვერპლი ცნობილი უდაბნოსი?—მით უარესი ჩვენთვის. ცხოვრების პოლიტიკური ზედაპირი შეიცვალა, ბრძანებლობა ეკუთვნის დემოკრატიას და თუ დღემდე საქართველოს ეკონომიური აღორძინება ვერ მოუხერხებია ბურჟუაზიულ ფეოდალურ წრეებს, ჯერი დემოკრატიაზეა, და თუ ეს ძალაც უხამსი გამოდგება დამტკიცდება ჩვენი უბედურობა.

გზა გახსნილია. ეროვნული ასპარეზი არსებობს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადებულია. ეროვნულ ეკონომიკის პრობლემა დასმულია. რა აზრის არიან გონიერი დემოკრატი ეკონომისტები ასეთ მდგომარეობაში მყოფ ერის ეკონომიურ აღდგენის საშუალებებზე?

თედო ღლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, რომელსაც შენიშვნას ვაძლევთ. აქ რას აკეთებ, როდესაც ყველა შეგნებული ქართველი ოზურგეთისკენ მიისწრაფის.

იგი ბრეჟულად იძახის:

— ჩვენ გამოქცევა არ გვჩვევიან სამი წელიწადი სალდათად ვარ ნამყოფი. ოზურგეთიდან მტერი გავაქციეთ (?). მე ოზურგეთის მახლობლად მდებარე სოფელში მცხოვრები ვარ. კარგა ხანია ოზურგეთში არა ვყოფილვარ.

ამ სიტყვებით იგი გვშორდება, რადგანაც ხედავს, რომ ჩვენ არ ვიჯერებთ მის ცრუ სიტყვებს და შესაძლებელია შესაფერი პასუხი მივცეთ ამ უნამუსო და მხდალ რაინდს.

ასეთს რაინდებს კიდევ ბევრსა ვხვდებით და გული ბოღმით და ნაღველით გვევსება.

აქვე გვხვდებიან ისეთი მგზავრნიც რომელნიც ქობულეთში ჩვენის ჯავშნიანის მატარებლის გამარჯვების ამბავს ადასტურებენ. მათის სიტყვით, რომელიც სხვა წყაროებიდანაც შევამოწმე, ჩოლოქის ხიდთან დიდძალი მტერი იქმნა ამოხოცილი, სულ ცოტა ათასი კაცი. ჩვენ კი სულ სამი კაცი მოგვიკლეს და 25 კაცი დაგვიშრეს. ამ ხიდთან მარტო აჭარლები და ქობულეთლები არ ყოფილან. მდგარა საკმაო ბევრი რეგულიარული ჯარი ოსმალეთისა, მაგრამ ჩვენს ტყვიისმფრქვეველებს ელდის სისწრაფით გაუთიბავს გათამამებული მტრის ლაშქარი. ჩვენ დავლად დაგვრჩა დიდძალი საომარი იარაღი.

ლანჩხუთში საერთოდ ბევრი ახალი ამბავი გვხდება. ერთს სასიამოვნო ცნობას მეორე სამწუხარო ცნობა მოსდევს.

ახლა დარწმუნებით გადმოგვცემენ, რომ ოზურგეთის დაკარგვა ჩვენი ჯარების ბრალი იყო, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწიეს მტერს. მეოთხე პოლკი ერთიანად დაძრულა ფრონტიდან და თავისი უფროსი მიუტოვებია.

ლანჩხუთში ჩასვლისთანავე რასაკვირველია, ჩვენს რაზმს მივაშურეთ. ჩვენი მამაცი ამხანაგები მინდორზე დაბანაკებულან სადგურის უკან და გულისფანცქალით მოელიან თავიანთ უფროსს, რომელიც დილითვე წასულა ცხენით არე-მარეს დასათვალიერებლად; დილითვე წასულან ჩვენი მზვერავნიც განსაკუთრებულის მინდობილებით.

გამორკვეულია, რომ რაზმი საღამოს ოზურგეთის მხარეს უნდა დაიძრას და მიეშველოს იქ მომქმედს ჩვენს ჯარებს.

აი დაბრუნდა კიდეც რაზმის უფროსი იოსებ გედევანიშვილი და რაზმიც იწყებს მზადებას წასასვლელად.

ამ დროს თავს იყრიან ლანჩხუთელნი და ეხვევიან ჩვენის რაინდ რაზმელების ცქერით, იწყება სიმღერა და ცეკვა. როგორც ეტყობა მკვირცხლ გურულებზე განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას ახდენენ სიმღერა-ცეკვით ზომიერი და აუჩქარელი, მაგრამ მტკიცე ქართლ-კახელნი.

ისინი ათავებენ ცეკვას და იწყებენ საგმირო სიმღერას:

ქართველო ხელი
ხმალს იკარ!

აგერ ქართულელნიც, რომელნიც ლამაზად მღერიან დიდის ღლაის იქნებ წინაპართ მეტყველურს ლექსს:

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?
აწყურ თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია!

— ნუ თუ ჯანღონით სავსე ახალგაზრდანი ისე დაიხოცებიან, რომ სამშობლოს ვერ დაიხსნიან უდიდეს განსაცდელისგან? ნუ თუ ამათ არ უნდა დაეხმარონ ის ჩვენი მოღალატენი რომელთაც ასე ლაჩრულად დასტოვეს ბრძოლის ველი,— იძახის ერთი ლანჩხუთელი და თვალებზე ცრემლი ადგება.

— ძმებო, გაგიმარჯოთ, ღმერთმა მშვიდობით დაბრუნებულნი გვაჩვენოს თქვენი თავი,— გვლოცავენ მეორენი.

— ნუ გეშინიათ, მტერს ზურგს არ ვუჩვენებთ და დავამარცხებთ,— უპასუხებენ ჩვენები.

საღამოს 7 საათზე ლანჩხუთიდან ვიძვრით ფეხით ჯუმათისკენ, გზა და გზა მცხოვრებნი გვლოცავენ და გამარჯვებას გვისურვებენ. აღსანიშნავია, რომ ესენი უფრო ქალები არიან. ვაჟები, რომელთაც იარაღის ხმარება შეუძლიათ, სულ გვერიდებიან. ჩანს მათ რცხვენიათ, რომ შინ რჩებიან იმ დროს, როდესაც მათი სამშობლო უდიდეს უბედურების წინა სდგას.

ესეც კარგია, რომ სცხვენიათ. რა ჰქნან, რომ მათ უფრო მიტინგები და წკიპინა სიტყვები უყვართ? ომი და სამშობლოს დაცვა ხომ ვაჟკაცის საქმეა!

აგერ გამოვიარეთ სოფელი ჭინჭვათი და აუარებელ ბარგით (ურმებით) შეუდექით აღმართს, რომელმაც დიდხანს გაგვტანჯა და დაგვაბრკოლა.

კიდევ კარგი, რომ მშვენიერი მთვარიანი ღამეა და გზას ვხედავთ.

სანახაობა ამ მთებში მართლაც სამაგალითოა ამ ღამითაც, მაგრამ საურმედ კი არ ვარგა აქაური გზა. ამიტომ ტყვია-წამლით დატვირთულ ურმების ატანა ციცაბო კლდეებზე რაზმელთ უხდებათ.

ნაშუაღამევის ორის ნახევარზე ჯუმათის მონასტერს მივაღწიეთ და აქ ცოტა შევისვენეთ. თვით სოფელი ჯუმათი, სადაც უნდა მივიდეთ, ჯერ კიდევ ქვევით არის.

ჩვენ ყველას პირველად გვეღირსა ამ შესანიშნავ მონასტერთან გავლა, მაგრამ ამ აღრევისა და უდროობის დროს მონასტრის დათვალიერება არავის არ მოგვსვლია აზრად. ეს გარემოება ალბად ბევრს ჩვენგანს დიდ სინანულად დარჩება.

თუ აქამდე სულ აღმართ-აღმართ მივდიოდით, ახლა სულ თავდაღმართია თანაც გზა ვიწრო და მიკიბულ-მოკიბული. იძულებულნი ვართ, თითო ურემს შვიდმა-რვა კაცმა მივდიოთ.

ოთხს საათზე ჯუმათში ვართ. ვბინავდებით ჯუმათის ორკლასიან სკოლის შენობაში.

ნაწილი დილით გამოგზავნილ მზვერავებისა ეს ეს არის დაბრუნებულა ოზურგეთის არე-მარედან ნაწილი კი ჯერ კიდევ არ მოსულა, რადგანაც მათ დილამდე უნდა შეიცადონ ოზურგეთის ახლო მახლო, დაბრუნებულს მზვერავებს თან მოუყვანიათ ერთი ტყვის მფრქვეველი, რომელიც ტყეში უპოვიათ ეს ტყვის მფრქვეველი საუკეთესო სისტემისაა და უეჭველია დიდს სამსახურს გაგვიწევს.

10 აპრილი.

ერთი ორი საათის წოლის შემდეგ ფეხზე ვართ. დილის რვა საათია და წასვლის მზადებაში ვართ. ნელნელა ხალხი გროვდება და ჩვენს გარშემო ტრიალებს.

აგერ ოზურგეთის მხრიდან ზარბაზნის ხმა მოისმის სულ გარკვევით, მაგრამ ჯუმათელებს ეს თითქოს არც კი შეეხება. ჩვენში აქა იქ ემუსაიფებიან ხალხს და თან ურჩევენ, საომრად გამოვიდნენ. ისინიც თითქოს ერკვევიან ძილისაგან და რაღაც კრებას მართავენ.

ჩვენები უკვე დარაზმულნი არიან. აი კიდეც შეფიცეს ოფიცრებმა და რაზმელებმა ერთმანეთს—ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ვინც გვიღალატოს, ჩვენის ხელითვე მოვკლათ,—იძახიან ყველანი.

ჩვენი რაზმი ჯუმათიდან იძვრის. ჯუმათელები კრებას განაგრძობენ. ალბად ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მოვალენი არიან თუ არა ისინი, რომ სამშობლო დაიცვან.

რამდენიმე ხნის შემდეგ მდინარე სუფსას მივადექით და როგორც იყო მეორე ნაპირას გავედით საგანგებოდ დაბარებულ ურმებით. ამ დროს ოზურგეთის მხრიდან საშინელი დიდი სროლა ისმის. ისმის ზარბაზნის ხმაც პირველ საათზე სროლა სწყდება.

ჩვენი რაზმი ორ ნაწილად იყოფა და მთის კალთაზე მიეჩქარება ცენტრის დასაჭერად. მარცხენა ფრთა (ჩოხატაურ ნასაკირალის მხრით) და მარჯვენა (ნატანების მხრით) უკვე გამაგრებულია ჩვენის ჯარებისაგან.

ჩვენს ერთს როტას (ქიზიყელებს) უცებ უხდებათ ბრძოლა ფერდობში სასაფრებულ ოსმალთა როტასთან, რომელიც განდევნილ იქმნა თავის პოზიციიდან.

ნაშუადღევის სამის ნახევარზე ორივე მხრიდან სროლა ახლდება. მარჯვენა ფრთა და ცენტრი ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს და განსაკუთრებით ტყვიის მფრქვეველებს ამუშავებს, ხოლო ნასაკირალის ფრთის შესახებ ცნობა არ არის. ვფიქრობთ, იქიდან ჯერ არ დაწყებულა მტერზე გალაშქრება.

დიდი სროლა გრძელდება საღამოს ხუთ საათამდე. თუ დრო-გამოშვებით სწყდება, ისიც მცირე ხნით. მტერი ივერის ზარბაზნებსაც, ხანდახან შრაპნელსაც ამუშავებს.

საღამოს ექვსის ნახევარზე მეტად დიდი და საშინელი სროლა იწყება. ირგვლივ ყველაფერი ცეცხლშია გახვეული.

სროლა ღამითაც გრძელდება.

ხალხი ძალიან შეშინებული და თავზარდაცემულია. ყველანი სტოვებენ თავიანთ სახლ არს და მირბიან, სადაც შეუძლიათ. ოზურგეთიდან და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან გამოქცეული ხალხი ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდება.

მათგან კაცი ვერაფერს ვერ გაიგებს. თითქმის ყველანი ერთხმად გაიძახიან:

— გაგვყიდეს, გვიღალატეს.

მათის აზრით საქართველო ჩხენკელმა და გეგეჭკორმა მიყიდეს ოსმალეთს.

ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგს უმტკიცებთ, მაგრამ სჯერათ თუ არა ჩვენი, არ ვიცით.

— არა, ძმაო, არა,— ვეუბნებით მათ —ჩვენ არავის გავუყიდნივართ, ჩვენ ჩხენკელსა და გეგეჭკორის პარტიისანი არა ვართ, მუდამ გვინდა მათი ზოგიერთ აზრის დამარცხება, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრათ, რომ იმათ არავინ გაუყიდიათ.

— გაგვყიდეს, გაგვყიდეს,— იძახიან გამოქცეული ჯარისკაცებიც, რომელნიც აგერ ახლა მოდიან ბრძოლის ველიდან და რომელთაც არ იციან, რითი იმართლონ თავი და თავისი ლაჩრობა დამალონ.

ნაშუადღევის სამის საათიდან იწყება ნატანების მხრით მტერზე მძულ ჯარიდან გამოქცეულების დენა მდ. სუფსის მინდორზე.

აგერ ერთს მსუბუქად დაჭრილს ჯარისკაცს შვიდი კაცი მოსდევს თავს მართლულობენ, დაჭრილი მიგვყავსო.

დაჭრილს ჭრილობას უხვევს ჩვენი რაზმის სანიტარი კარპეზ ბარათაშვილი, რომელიც ამ მინდორზე რჩება და საღამომდე დაჭრილთა მოვლას უწევს. კიდევ კარგი რომ ამ დროს ეს სანიტარი შემთხვევით არის აქა.

აგერა კიდევ მოდიან გამოქცეული ჯარისკაცები, რიცხვით 8—9 კაცი. ისინი იძახიან დაჭრილები ვიყავითო. სანიტარი ეუბნება: მოდით, ჭრილობას შეგიხვევთო, მაგრამ გარბიან, რადგანაც მათ შორის არავინ არის დაჭრილი. ყველას „ვინტოვკები“ და აუარებელი პატრონები აქვთ.

ჩვენ თვალწინ უკვე გაირბინა ერთმა ასმა გამოქცეულმა ჯარისკაცმა. ესენი არიან მეორე ქართულ პოლკისა და ჩერნომორსკი ბატალიონის ჯარისკაცები.

აგერ კიდევ მოდის ოცამდე გამოქცეული ჯარისკაცი, გული გვწყდება. რომ ჩვენი რაზმელნი ამ დროს ბრძოლაში არიან ჩაბმულნი და ესენი კი „ვინტოვკებს“ სახლში მიათრევენ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდებიან ჩვენი რაზმის ცხენოსანი მზვერავნი, რიცხვით 8 კაცი და ამ ოცს სულმდაბალ ლაჩარს შეაჩერებენ.

ჩვენი მზვერავნი საერთოდ თავზარსა სცემენ გამოქცეულს ჯარისკაცებს. იარაღსა ყრიან და ლანჩხუთს გზავნიან რევოლიუციონურ ტრიბუნალისთვის გადასაცემად. ჩვენი რაზმისავე თაოსნობით ჯუმათშიაც ჩაყენებულ იქმნენ ყარაულები და გამოქცეულებს იჭერენ.

ერთს ჯარისკაცს რომ ჰკითხეს, რად გამოიქეციო, მან სთქვა, პატრონები შემომაკლდაო. იგი გაჩხრიკეს და ზედ მრავალი პატრონი აღმოაჩნდა მეორეს კიდევ უთხრეს:

— ბიჭო, აგერ ჩვენი ძმები კახელები წავიდნენ ამ გზით და თქვენ აქ გარბიხართ; მარტოკა რომ სტოვებთ, ხომ მტერმა გაწყვიტაო.

— რა საქმე მაქვს კახელებთან? თავი რად უნდა მოვიკლაო,— უპასუხა ჯარისკაცმა, მედიდურად გადაიგდო „ვინტოვკა“ მხარზე და გაუდგა გზას თავის ამხანაგებით.

აქეთ სოფლებში ინტელიგენტური ძალები არა ჩანს. ეს უკვე ნასწავლი ხალხი ქალაქებში გახიზნულა და იქ მოუსვენია იმ დროს, როდესაც ისინი სოფლად ფრიად საჭირონი არიან.

რ. ბ—ლი.

მეოთხე ჯავშნოსან მატარებლის რაზმის წერილი

მივიღეთ რა განკარგულება გენერ. მაზნიაშვილისაგან, რომ ჯავშნოსანით წავეშველოთ მდინარე ჩოლოქის არტილერიის დასახმარებლად. ჩვენ 8 აპრილს დილა ადრიანად გავემგზავრეთ მდინარე ჩოლოქისაკენ. ჩვენ გვქონდა განკარგულება, რომ ოსმალოებს თავს დავესხმოდით და თავზარი დაგვეცა მათთვის. და სწორეთ ასედაც მოხდა. ჩვენი მატარებლიდან ზარბაზნებმა და ტყვის მფრქვეველებმა გახსნეს გრიგალისებური ცეცხლი; ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ცოტათი წინ წავსწიეთ მატარებელი მხოლოდ ჩვენდა საუბედუროდ წინა დღის ბრძოლის დროს ზარბაზნის ყუმბარას გაეტეხნა რკინის გზა, რომელიც ვერ შევამჩნიეთ და მატარებელი ჩავარდა, გაგვიჩერდა. ამის შემდეგ გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა ოსმალოებსა და ჩვენ ჩავარდნილ მატარებლის შორის. მშველელი არავინ იყო, ის იყო, რომ მთლად ამოგვეწყვიტეთ ოსმალოებს, იმ დროს ერთი ჩვენი რაზმელი აკაკი ურუშაძე გადმოხტა მატარებლიდან გრიგალისებურ ცეცხლში დიდი წვალებით გავიდა იქიდან და უკან მდგომ სანგრებში ჯართან მივიდა, რომელმაც არაფერი არ იცოდა თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ჯავშნოსანი მატარებელი. რაზმელმა გააცნო მდგომარეობა და განკარგულება მისცა, რომ უსათუოდ იერიში მივიტანოთ მტრის სანგრებზე და მატარებელი უნდა ვიხსნათ განსაცდელისაგანო, რასაც ჯარისკაცებმა თანხმობა განუცხადეს. აკაკი ურუშაძე გამოუძღვა ჯარს იერიშის მისატანად, რომელიც თავგანწირულად მიეშველებოდა თავის ამხანაგებს, რომელმაც გამარჯვებით დაამთავრა თავისი მიზანი და იხსნა თავისი ამხანაგები და მასთან მატარებელიც. ჩვენს მატარებელში მოგვიკლეს სამი რაზმელი, მძიმედ დაჭრეს 12, მჩატედ დაჭრილია 13. მძიმედ დაჭრილები მოთავსებულია ქ. ქუთაისის საავადმყოფოში.

რაზმელი.

კახეთის თავ-დაცვა

(წერილი თელავიდან)

როცა კახეთში საერთოდ და თელავში კერძოდ ანარქია თანდათანობით იკიდებდა და ჯერ კიდევ განუმტკიცებელ რევოლუციას ძირს უთხრიდა, თელავში დაარსდა ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთაგან თავ-დაცვის კომიტეტი. ამ კომიტეტის საჭიროება უფრო აუცილებელი შეიქმნა იქ მდგომ მერვე ქართულ პოლკის გამოსვლის შემდეგ, რომლის წყალობით დაირღვა მშვიდობიანი ცხოვრება და ვინ იცის რით გათავდებოდა, რომ ტფილისიდან მოსულ წითელ გვარდიას არ აღედგინა წესიერება...

მართალია ამის შემდეგ თელავის გარეგნული ცხოვრება თითქოს თავის კალაპოტში ჩადგა, მაგრამ სოფლად მაინც ადგილი ჰქონდა და აქვს ამა თუ იმ არა სასურველ მოვლენებს. შემდეგ სოფლად დაარსდა წითელი გვარდიები, რომელთაც წესიერების დამყარება ევალებათ.

დიდი საპასუხისმგებლო საქმე დააწვა თავს თელავის, ან სწორედ რომ ვთქვათ, კახეთის თავ-დაცვის კომიტეტს. შინაური წესიერების დაცვა უმთავრეს ყურადღებას იპყრობს თვით კახეთი და მისი მდგომარეობა, როგორც გეოგრაფიულად ისე ეთნოგრაფიულად. ამის შესახებ მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ და არც საჭიროა ეს...

მხოლოდ კახეთის თავდაცვის კომიტეტმა იქონია სერიოზული მსჯელობა ამის შესახებ და საქმის უკეთესად მოსაწყობად გამოჰყო თავის შორის სამხედრო სექცია, რომელსაც ამიერიდან ევალება იზრუნოს კახეთის უზრუნველყოფისათვის, როგორც შინ, ისე უმთავრესად გარედ.

სამხედრო სექციას ეძლევა განუსაზღვრელი უფლებები, იმოქმედებს დამოუკიდებლივ, მხოლოდ თავის მოქმედების ანგარიშს მოახსენებს თავდაცვის კომიტეტს.

ზოგიერთ საკითხის განმარტება თვით საქმე სათავე საჭიროების არ შეადგენს და ამიტომ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავუმატებთ, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირებს ენერგიას, რომელნიც თითქმის ერთხმად არჩეულ იქნენ თავდაცვის კომიტეტისგან, თუ გავითვალისწინებთ მის თავმჯდომარე დაუღალავ ქადაგების გამოცდილებას და საქმის ცოდნას ამ დარგში, ყველა ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სამხედრო სექცია პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ დიდ მოვალეობას, რომელიც შეეხება საერთოდ კახეთის კეთილდღეობის დაცვას, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრისაგან...

⁂

კახეთის თავდაცვის სამხედრო სექცია მხნედ შეუდგა თავის საქმეს არა თუ მხნედ, არამედ მთელ დროს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ანდომებს და ხშირად დღეში ორჯელ უხდებათ სხდომების მართვა. კახეთის მთლიანი ფრონტის დაცვისათვის საჭიროა სამივე მაზრის—თელავის, თიანეთის, სიღნაღის—თანხმობითი მოქმედება. ამისათვის სამხედრო სექციამ უკვე მოიწვია სიღნაღ-თიანეთის მაზრების წარმომადგენლები 8 აპრილს და ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მთელი რიგი დადგენილებისა იქმნა გამოტანილი...

რასაკვირველია, მარტო დადგენილებების გამოტანა არა კმარა, მას უნდა განხორციელება, რისთვისაც საჭიროა სახსარი ე, ი. ფული. მხოლოდ ფული უნდა ადგილობრივ შეგროვდეს, რადგანაც იგი მოეხმარდება მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების უზრუნველყოფას. ამის შესახებ 7 აპრილს მოხდა თელავის ვაჭართა და მოქალაქეთა კრება. დამსწრენი გაეცნენ კრების მოწვევის მიზანს და ერთხმად საჭიროდ სცნეს თავდაცვის მოწყობა, ბოლო ფულის გასაწერად აირჩიეს ყველა ამქრის წარმომადგენელთაგან კომისია. ამ კომისიის კრება მოხდა მეორე დღესვე და დიდხნის მსჯელობის შემდეგ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ, ვერ იქნა, ვერ შეიმუშავეს ფულის რაოდენობა, გაწერის და აკრეფის წესრიგი.

ფულის აკრეფას ყოველთვის თანასდევს ხოლმე ერთნაირი სიძნელე, მით უმეტეს ეხლა, როცა საქმეს დიდი თანხა დასჭირდება. ჩემის აზრით უკეთესი იქნება, ერთდროულად გარდასახადის გარდა, რომელიც ალბად პირველად დასჭირდება, ფული თვიურად გაიწეროს, რომ უფრო ადვილი გახდეს მისი აკრება და ასე არც გარდამხდელებს გაუძნელდეთ..

ამისთანა დროში, როცა საერთოდ თავდაცვის საქმე ყოფნა არ ყოფნის საკითხად არის გადაქცეული, ყველა, მოქალაქე, მოვალეა სწრაფად დაეხმაროს, იმდენად, რამდენადაც კი საქმის საჭიროება მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში დროთი არაფერი გაკეთდება და მერე თითზე კბენანი გვიან იქნება...

დავიწყებული.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტის.

წიგნები
ძველი და ახალი, ყოველგვარ შინაარსისა ყველა ენაზე მიიღება საკომისიოდ „კავკასიის წიგნის კოოპერატივ განათლებას“ —მიერ მიხეილის პრ. 93 (რიჩკინის მაღაზია). იქვე იყიდება საკანცელარიო ნივთები. 439

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
თოქანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] 5—8 ს. [illegible] მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] ტელეფ. 6—11 1030

ქ. ქუთაისი.
ექიმი რევაზ ალექსანდრე მე
მაჩაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 6—7 ს. საღამოსი.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩის ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე, პავლოვის ქუჩ, № 7. 2130

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 12—2 საათ. ცოლოდიანოვის ქ. № 6.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტროზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ № 11. 426

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5¹/₂—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა [illegible] სამკურნალო მიხეილის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ვ. აგაბაროვი: 9¹/₂—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11¹/₂ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საშინაო ავადმყ.
მ. მ. შენიამოვინი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იბაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 101

სტამბა „სახალხო საქმე“, ზარიანის ქუჩა № 14